საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუდილებით და ჭორებით ბრძოლის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ხუთშაბათი, 17 იანვარი. 2019 წ. №11 (8677) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

100

2018 წლის სამი დაუვიწყარი თარიღი:



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 100 წლისთავი;

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავი;

წელიწადი მეასე | წელიწადი მეასე

საქართველოს რესპუბლიკა — ყოველდღიური გაზეთი

ოთხშაბათი, 25 ივლისი. 2018 წ. №148-149 (8549-8550), | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ასეთი არჩევანის წინაშე რომ დამაყენონ – მთავრობა თუ გაზეთები? – უყოყმანოდ მეორეს ავირჩევდი!
თომას ჯეფერსონი

გმადლობთ, მკითხველო!

პირველი რესპუბლიკის მთავრობის მოამბის — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ პირველი ნომრის გამოსვლის 100 წლისთავი, რომელიც დღეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში აღინიშნება.

სალომე ზურაბიშვილი ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს ერიკ ჰოეგს შეხვდა



პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, შეხვედრისას საუბარი შეეხო სადამკვირვებლო მისიის საქმიანობას და სამომავლო გეგმებს. პრეზიდენტის თქმით, მნიშვნელოვანია ბრიუსელში დაგეგმილ ვიზიტამდე ინფორმაციის მიღება ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მხრიდან.

საუბრისას აღინიშნა, რომ მსგავსი ტიპის შეხვედრებს რეგულარული სახე მიეცემა. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ლაშა ჟვანია, ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ქეთევან მახარაშვილი, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საინფორმაციო ანალიტიკური ანგარიშების განყოფილების უფროსი ანდრეა ხმიელინსკი და ოპერაციათა განყოფილების უფროსის მოადგილე ქალბატონი მაურა ო' სალივანი.

პრეზიდენტი მინისტრს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ვიცე-პრემიერთან, შინაგან საქმეთა მინისტრთან გიორგი გახარიასთან პირველი სამუშაო შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე პრეზიდენტმა და მინისტრმა სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით მოსაზრებები გაცვალეს.

ირაკლი კობახიძე: საქართველოს ორივე ოკუპირებული რეგიონი, ფაქტობრივად, რუსეთის დახურულ სამხედრო ბაზებად ან მათ მომსახურე სივრცედაა გადაქცეული

„დღევანდელ ეპოქაში არსებობენ ძალები, რომლებიც არყევენ უსაფრთხოებისა და მშვიდობის ფუნდამენტს, ძირს უთხრიან ქვეყნების ტერიტორიულ მთლიანობას, ხელს უწყობენ საზოგადოებებში დაძაბულობასა და დაპირისპირებას, ხელს უშლიან ჩვენს თავისუფალ არჩევანს", — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა. ირაკლი კობახიძის თქმით, ეს ტერიტორიების პირდაპირი ოკუპაციით და ანექსიით, შანტაჟით, მუქარით, ძალადობისა და ტყუილების პროპაგანდით, ცივილიზებული სამყაროსთვის მიუღებელი და შეუფერებელი მეთოდებით ხდება.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ოფიციალური ვიზიტით საფრანგეთის რესპუბლიკაში იმყოფება, სადაც ეროვნული ასამბლეის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა და ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, ასევე, არსებული გამოწვევების შესახებ ისაუბრა. ირაკლი კობახიძემ ყურადღება ოკუპაციასა და რუსეთის მიერ ოკუპირებულ რეგიონებში არსებულ მძიმე მდგომარეობაზე გაამახვილა.

მისი თქმით, აგრესიის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლებას, უკვე წლებია, რუსეთის მიმართ პრაგმატული, მშვიდობიანი და დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული პოლიტიკა აქვს შემუშავებული. ირაკლი კობახიძის შეფასებით, აღნიშნულმა პრაგმატულმა პოლიტიკამ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური და სატრანსპორტო კავშირები გააუმჯობესა, მაგრამ პოლიტიკური ურთიერთობები კვლავ ჩიხშია შესული.

„ეს პოლიტიკა ითვალისწინებს კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას, საერთაშორისო თანამეგობრობის მაქსიმალურ ჩართულობასა და ურთიერთობების სამომავლო პერსპექტივას. მისასალმებელია, რომ რუსეთის შეუვალი სამხედრო-პოლიტიკური პოზიციის მიუხედავად, ხალხებს შორის ურთიერთობა ბოლო წლებში ფართოვდება, რაც საქართველოში რუსი ტურისტების სულ უფრო მზარდ რაოდენობაზეც აისახება. საქართველოს პრაგმატულმა პოლიტიკამ გააუმჯობესა საქართველოსა და რუსეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური და სატრანსპორტო კავშირები, მაგრამ პოლიტიკური ურთიერთობები კვლავ ჩიხშია შესული, რადგანაც რუსეთი კვლავ არ ასრულებს საფრანგეთის შუამავლობით ხელმოწერილ 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას და არ აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. თუმცა, დიდი გამოწვევების მიუხედავად, საერთაშორისო მეგობრებისა და პარტნიორების დახმარებით, ჩვენ ენერგიულად ვაგრძელებთ თანასწორობასა და სოლიდარობაზე დაფუძნებული, ადამიანზე ორიენტირებული დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას", — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

პარლამენტის თავმჯდომარე საფრანგეთში ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდა

საფრანგეთში ვიზიტის ფარგლებში, ირაკლი კობახიძე ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდა და საქართველოსა და საფრანგეთს შორის მჭიდრო ურთიერთობების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

დიასპორის წარმომადგენლებთან საუბრისას, პარლამენტის თავმჯდომარემ საქართველოს დასავლურ მისწრაფებებზე ისაუბრა და ამ კონტექსტში, საფრანგეთთან მჭიდრო თანამშრომლობაზე გაამახვილა ყურადღება.

„ჩვენი მიზანი, როგორც მოგეხსენებათ, არის ევროკავშირში ინტეგრაცია და ამ კუთხითაც არის ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენთვის თანამშრომლობა საქართველოსა და საფრანგეთს შორის და, რა თქმა უნდა, როცა საუბარი გვაქვს ჩვენს კოლეგებთან, ყურადღებას ვამახვილებთ ამ ასპექტზეც. ასევე, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია საფრანგეთის მხარდაჭერა ჩვენი სუვერენიტეტის დაცვის კუთხით, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის კუთხით და ამ მიმართულებითაც გვაქვს დისკუსია ჩვენს ფრანგ კოლეგებთან", — განაცხადა ირაკლი კობახიძემ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა ქართულ სათვისტომოსთან შეხვედრის მნიშვნელობა. ირაკლი კობახიძის თქმით, მისთვის დღევანდელი დღე ემოციური იყო.

„ზოგადად, როდესაც გვაქვს ასეთი ვიზიტები, შესაძლებლობას არ ვუშვებთ ხელიდან, რომ შევხვდეთ დიასპორის წარმომადგენლებს. საფრანგეთში მოტივაცია არის განსაკუთრებული, გამორჩეულია ჩვენი ფრანგული სათვისტომო პირველ რიგში იმით, რომ მისი წარმომადგენლები არიან ჩვენი გამორჩეული წინაპრების შთამომავლები. დღევანდელი დღე ჩვენთვის ძალიან ემოციური იყო. ეს დღე შეგვახსენებს იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, გავუფრთხილდეთ ჩვენს სახელმწიფოებრიობას, ეროვნულ თვითმყოფადობას და დღევანდელი დღე ამ კუთხით იყო ძალიან მნიშვნელოვანი", — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

„შესაბამისად, გაწვევა-არგაწვევის საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნილია"

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების სია — საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის არჩილ თალაკვაძის განცხადებით, აღნიშნული სიის გაწვევა-არგაწვევის საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნილია.

აღნიშნული განცხადებით, თალაკვაძე საკუთარი გუნდის ნაწილის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ოპოზიციის მოთხოვნებს გამოეხმაურა, რომლებიც იუსტიციის უმაღლესი სანჭოს მიერ შემუშავებული სიის უკან გაწვევას მოითხოვენ:

„პოლიტიკური შეთანხმება მიღწეულია, რომ ჩვენ ვიმუშავებთ რეგულაციებზე, რაც პროცედურებს და კრიტერიუმებს მოიცავს და ორგანული კანონის სახით დამუშავდება და ამ კანონს ექნება უკუძალა, შესაბამისად, გაწვევა-არგაწვევის საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნილია. მნიშვნელოვანია, მოხდეს თანამშრომლობა ყველა ძირითად მხარეს შორის იმ რეგულაციებთან დაკავშირებით, რომლებიც სასამართლოს უკავშირდება და უნდა წავიდეთ თანამშრომლობის გზით. ის, რომ ყველამ თავისი პროექტი, თავისი ინიციატივა დააყენოს, რა თქმა უნდა, ეს მიუთითებს დიდ ინტერესზე, მაგრამ საზოგადოებას სჭირდება, რომ ნახოს თანამშრომლობა," — განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

გიორგი გახარია კატარში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია და სამინისტროს დელეგაცია კატარში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა. სამინისტროს დელეგაციას კატარის პრემიერ-მინისტრმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა — შეიხ აბდულა ბინ ნასერ ბინ ხალიფა ალ თანმა უმასპინძლა.

ვიცე-პრემიერმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ ვიზიტის ფარგლებში კატარის მხარეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებული და მიმდინარე რეფორმები გააცნო, ამასთანავე ხაზი გაუსვა ორ სახელმწიფოს შორის თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობას. მხარეებმა ასევე განიხილეს თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობები სავაჭრო-ეკონომიკური საქმიანობისა და ტურიზმის სფეროში. ვიზიტის ფარგლებში ორ ქვეყანას შორის ხელი მოეწერა — „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და კატარის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის შესახებ" განზრახულობათა დოკუმენტს.

გომელაურის უწყება ცვლილებებს ოფიციალურად ადასტურებს

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური საკადრო ცვლილებებს ოფიციალურად ადასტურებს.

როგორც „ნიუპოსტს" სუსის პრესსამსახურში განუცხადეს, ახალი ხელმძღვანელები ჰყავს კახეთის, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, მცხეთა-მთიანეთისა და შიდა ქართლის რეგიონულ სამსახურებს, მათი დანიშვნის ბრძანებას სუსის უფროსმა ვახტანგ გომელაურმა ხელი უკვე მოაწერა. ამასთან, გავრცელებული ინფორმაციით, უსაფრთხოების სამსახურში სუსის უფროსის მოადგილედ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მოქმედი ხელმძღვანელი, ალექსანდრე ხოჯევანიშვილი ინიშნება.

◎ ბებერი ხარისა რქებიც კი ხნავენ...

ჩასანგრევბა ბაზალეთურად: ვინ – აქეთ, ვინ – იქით!

ამ გადასახედიდან რომ ვუყურებ გუშინდელს, განვლილს, გულწრფელად მიხარია, რომ კიდევ ვახერხებ „წერას, კითხვას და ლაპარაკს“.

ხუმრობა ხომ არ არის, ბარათაშვილის აღმართზე და ვაკეში ტრამვაი მახსოვს...

მეოთხე წელია, ნაგვით უიმედოდ სავსე „ლაგუნა ვერეს“ გადაღმა ჩამოკბეჩილ მთასა და ამოუხსნელი მიზეზებით დანგრეულ რესტორან „არაგვის“ ადგილზე მდგარი „კუპალნია“ და იქ მჩქეფარე სპორტული ცხოვრება მახსოვს...

თავისუფლების მოედანზე, პუშკინის სკვერის თავში, მარმარილოს ტრიბუნა და იქ გამართული პარადები მახსოვს...

სპორტის სასახლის ადგილზე მოფუთფუთე საბურთალოს ცნობილი ბაზარი მახსოვს...

კიდევ ბევრი რამ მახსოვს, რაც რატომღაც წარუშლელად ჩამრჩა და თავიდან არ ამომდის, თორემ ამ ყველაფრის ტვინში დაგროვება პურს ვერ გაჭმევს, როგორც ყოფილ ცეკას ბიუროს წევრობა.

და ამ ხანგრძლივი ცხოვრების ლამის სამი მეოთხედი რედაქციებში მაქვს ღამენათევი, აქედან 32 წელიწადი – „საქართველოს რესპუბლიკაში“.

რამდენი თანამოკალმის აჩრდილმა ჩაიარა ჩემ წინ... ზოგიერთს დღესაც მოწიწებით ახსენებენ, ზოგიერთს... არადა, ის ზოგიერთნი თავის დროზე ბუზს არ აიფრენდნენ თავიდან. წავიდნენ და მათგან აღარაფერი დარჩა.

„საქართველოს რესპუბლიკა“ მუდამ ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ცხოვრებას. იცვლებოდა ყოველდღიურობა, იცვლებოდნენ მთავარი რედაქტორები, მაგრამ უცვლელი რჩებოდა ჩვენი გაზეთის არსი – ფეხაწყობით მიჰყოლოდა დროის მსვლელობას.

გადავიტანეთ ომი – ერთი, ორი... ჯერ – სამოქალაქო, მერე – სამამულო, რომელიც, სამწუხაროდ, ყველასთვის ვერ იქცა სამამულოდ და დავმარცხდით... პირველად გაჭირდა, თორემ მერე მოგვიმრავლდა დამარცხებული ომები (ყველა მათგანი როდი წარიმართა თოფებითა და ხიშტებით!) და როგორღაც მივეჩვიეთ. დამარცხების მიჩვევა კი ყველაზე დიდი მარცხია ერისთვის: დამარცხებას მიჩვეულის გამარჯვება ძნელიც არის და იშვიათიც.

აი, ამაზე გვიხდებოდა (და გვიხდება დღესაც), უმთავრესად წერა და, ვფიქრობ, ჩემი კოლეგების წვლილიც არის იმაში, რომ დამარცხებულის სინდრომი თანდათან დაიძლია (ოღონდ ბოლომდე არ აღმოფხვრილა).

დამარცხებებს უარესი – ერის გახლეჩა და მერე პირდაპირ სასეირო „კოჰაბიტაცია“ მოჰყვა. ეს ბოლო ეტაპი, როგორც მოგეხსენებათ, ომზე უფრო ძნელი გადასატანი აღმოჩნდა, ამ პროცესს საერთოდ ორი მხარე აქვს და თუ მხოლოდ ერთმა მხარემ გამოაცხადა „შერიგება“, მეორემ კი ფეხებზე დაიკიდა შეთავაზება, არაფერი გამოვა, ყველაფერი ბლეფი აღმოჩნდება. ჰოდა, ჟურნალისტები ძალაუნებურად კვლავ სანგრებში აღმოვჩნდით, ძველებურად ვინ – აქეთ, ვინ – იქით. რითი ჩამოუვარდება სიმწვავით „კოჰაბიტაციური ომი“ მარაბდის ბრძოლას? არაფრით, ოღონდ ეს არის – ორივე მხარეს ბაზალეთისა არ იყოს, ქართველები „იღუპებიან“ (ამ სიტყვის ლამის პირდაპირი მნიშვნელობით), უმეტესად „მთავარსარდალთა“ უგვანი მოწოდებების შედეგად.

1945 წლის 20 მარტს კატასტროფული დამარცხების კვირაძალზე ჰიტლერმა 12 წლის ფოლკშტურმელ ბიჭს ალფრედს რკინის ჯვარი დაჰკიდა და ლოყაზე მოუთათუნა. მე მჯერა, რომ გავიმარჯვებთ, მე შენი იმედი მაქვსო.

საქართველოს რესპუბლიკა
25 ივლისიდან 1918 წლის
ბაკურ სულაკაურის

რამდენს „დასდეს იმედი“ ჩვენმა პოლიტიკურმა ლიდერებმა და ცეცხლიდან გამოღწეულები ისევ ცეცხლში შეაბრუნეს.

ჰოდა, იმის ნაცვლად, რომ ერთად ქვეყანას ვაშენებდეთ, ყველანი თავის გასამარჯვებლად რაზმავენ ხალხს.

რაც უნდა შენიღბო, ბოროტება ბოროტებად რჩება. გავიხსენოთ: იმ დროს მსოფლიოს ულამაზეს ქალად აღიარებული ამერიკელი კინომსახიობის რიტა ჰეივორდის პორტრეტი „ამშვენებდა“ პირველ ატომურ ყუმბარას, რომელიც ამერიკელებმა ჰიროსიმაში ჩამოაგდეს 1945 წლის 6 აგვისტოს.

რამდენი „რიტა ჰეივორდი“ გაიგზავნა ბოლო ათწლეულებში საქართველოდან სტრასბურგსა და სხვაგან – მსოფლიოს პოლიტიკურ ცენტრებში: არიქა, საქართველო იღუპებაო.

არადა, საქართველო არ იღუპება, ათასი იარის მიუხედავად, ფეხზე დგას და დაცემას არ აპირებს.

ამიტომ არ გველევა საბრძოლი ასი წლის გაზეთის ჯარისკაცებს.

აკი ნათქვამია, „ბებერი ხარისა რქებიც კი ხნავენო“.

ალეკო ასლანიშვილი

◎ წერილი ევროპიდან

ის, რაც ხელისუფლებას ეკრძალება, სახელმწიფოსთვის სავალდებულოა!

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, მიუხედავად ფინანსური და საბინაო პრობლემებისა, ღირსეულად აგრძელებს 100 წლის ტრადიციას და ქართული პრესის ერთ-ერთ ფლაგმანად რჩება. მის ფურცლებზე რეგულარულად იბეჭდება ღრმაშინაარსიანი ანალიტიკური სტატიები ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის მიზეზებზე და მისგან გამოსვლის გზებზე. და უსამართლობაა, რომ ამ გაზეთს, რომელიც საქართველოს პირველ დამოუკიდებელ რესპუბლიკასთან ერთად იშვა და მისი ქარტეხილებგამოვლილი ისტორიის ცოცხალი მატიანეა, სახელმწიფოსგან სათანადო დოტაცია არა აქვს! თუმცა რა დოტაციაზეა საუბარი, როცა გაზეთს სააკაშვილისა და მისი ამფსონების მიერ ყაჩაღურად წართმეული გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობაც არ დაუბრუნდა და ნაქირავები ბინიდან ბინაში ხიზნობა უხდება?!

გულდასაწყვეტია, რომ „სამართლიანობის აღდგენის“ დაპირებით მოსულმა ბიძინა ივანიშვილმა არაფერი იღონა აღნიშნული შენობის პატრონისათვის დასაბრუნებლად.

რაც შეეხება ქვეყნის ასწლიანი გაზეთისათვის დოტაციის დანიშვნაზე უარის თქმას, მავანნი ამას იმით ამართლებენ, რომ პრესა თავისუფალია და სახელმწიფოს მისი დახმარების უფლება არა აქვსო!

კი, მაგრამ ტელევიზიები თავისუფლები არ არიან, სახელმწიფო მილიონებით რომ ეხმარება?! რაღა მაინცდამაინც პრესა უნდა იყოს დახმარებისაგან „თავისუფალი“, ხოლო სახელმწიფო მის დასახმარებლად – „უუფლებო“?!

წესით, თუ კაპიტალიზმი და თავისუფალი ბაზარია, ტელევიზიებიც მხოლოდ რეკლამით უნდა არსებობდნენ, პარტიებიც – საწევროებით, ეკლესიაც – მრევლის მიერ შემოწირულობებით, თეატრებიც – გაყიდული ბილეთებით, მწერლებიც – გაყიდული წიგნებით (და არა სუფრაზე, ჭიქაში ჩაგდებული ახალი მერსედესის გასაღებით!) და ა.შ. ხოლო, თუ ისინი კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოსგან დაუხმარებლად ვერ იარსებებენ, მათი არსებობა კი ქვეყნისათვის აუცილებელია, მაშინ რა დააშავა პრესამ?

როგორც კომპიუტერი ვერ შეცვლის წიგნს, ისე ტელევიზია – პრესას! კომპიუტერი და ტელევიზია ძირითადად საინფორმაციო-გასართობი საშუალებებია, წიგნი და პრესა – აკადემიური ცოდნის წყაროები! ქარაფშუტული თოქ-შოუებით სერიოზულ საკითხებს ვერ განიხილავ, მათ სიღრმისეული ანალიზი და ლოგიკური მსჯელობა სჭირდება, რაც მხოლოდ წიგნსა და საგაზეთო სტატიას ხელეწიფება. ყველაზე სავალალო კი ის არის, რომ ბიძინა ივანიშვილიც, სააკაშვილის მსგავსად, არ კითხულობს გაზეთებს და არ ავალდებულებს მათ კითხვას თავის ხელქვეითებს!

ეს ვაჟბატონები, საკუთარ თავებს სახელმწიფოსთან რომ აიგივებენ, სახელმწიფოსგან დახმარებას ხელისუფლებისგან დახმარებაში ურევენ! ხელისუფლებას იმიტომ არა აქვს უფლება, დაეხმაროს პრესას, რომ თავის სასარგებლოდ არ განაწყოს იგი და ამით ობიექტურობა არ დააკარგვინოს მას. იგივე ითქმის ტელევიზიებზე, პარტიებზე, ეკლესიაზე და ა.შ. მაგრამ ის, რაც ხელისუფლებას ეკრძალება, სახელმწიფოსთვის სავალდებულოა! სახელმწიფო ვალდებულია, დაეხმაროს, უპირველეს ყოვლისა, პრესას, რადგან ტელევიზიის ეპოქაში მას არსებობა უჭირს, უპრესოდ კი სახელმწიფო სახელმწიფო აღარ არის. მით უმეტეს, ეს ეხება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“, რომელიც უბრალო პრესის ორგანო არ გახლავთ, იგი ისტორიული გაზეთია და მისი გადარჩენა ქართული სახელმწიფოს ღირსების საქმეა!

პატივისცემით,

ომარ ხახაშვილი,
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მრავალათასიან მკითხველთა სახელით, ბელგიისა და საქართველოს ორმაგი მოქალაქე, თავისუფალი ჟურნალისტი.

15 იანვარი, 2019 წელი, ქ. ვარეგემი, ბელგია

პირველი მაინც პირველია!



გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ პირველ ნომერს ხელს აწერს პ. დ. საყვარელიძე. ვინ იყო ეს ჭკვიანი და სიმპათიური კაცი?

პავლე საყვარელიძე დაიბადა 1882 წელს შორაპნის მაზრის სოფელ საქარაში. უმაღლესი განათლება მიიღო რუსეთისა და შვეიცარიის უნივერსიტეტებში.

იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის „მენშევიკების“ ფრაქციის წევრი. პარტიის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის წევრი და ორგანიზატორი; პარტიული და ჟურნალისტური ფსევდონიმი – „დიდი პავლე“; აქტიურად მონაწილეობდა 1905 წლის რევოლუციურ გამოსვლებში იმერეთში. 1917 წლის ნოემბერში აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად; 1918 წლის განმავლობაში იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი. 25 ივლისიდან მას ანდეს საქართველოს მთავრობის მოამბის – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორობა. 1919 წლის 12 მარტიდან არჩეული იყო საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელთა კრების წევრად საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით; 1921 წელს, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ, დარჩა საქართველოში და ჩამოშორდა პოლიტიკურ საქმიანობას...

გვეამაყებით და გვიყვარხართ!

ძვირფასო კოლეგებო, გილოცავთ თქვენი და სრულიად საქართველოს უსაყვარლესი გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკის“ 100 წლისთავს, რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში. გისურვებთ ჯანმრთელობას, შემოქმედებით წარმატებებსა და მკითხველის ერთგულებას, რითაც ასე ხართ განებივრებული აგერ უკვე საუკუნეა...

გვეამაყებით და გვიყვარხართ, წინ, კოლეგებო, ძლიერი საქართველოსთვის!

პატივისცემით,

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი.

ყურადღებით ვაკეთოთ ის საქმე, რომელსაც თბილისის მოსახლეობის კეთილდღეობა ჰქვია

თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური ვახუშტის ხიდის რეაბილიტაციას იწყებს, – ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მისი თქმით, აღნიშნული ხიდის რეაბილიტაცია იმ კვლევების მიხედვით გადაწყდა, რომელიც 2015 წელს დედაქალაქის მასშტაბით ჩატარდა.

„თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური დედაქალაქის მასშტაბით არსებული ავარიული ხიდების რეაბილიტაციას განაგრძობს. 2015 წელს ყველა ხიდთან მიმართებაში კვლევები ჩატარდა. ჩვენ გვაქვს უკვე სრული სურათი, თუ რომელი ხიდის რეაბილიტაცია არის პრიორიტეტული და ამის მიხედვით შესაბამის სამუშაოებს ვახორციელებთ. პროექტის ფარგლებში, გათვალისწინებულია ახალი კონსტრუქციის, სავალი ნაწილის, სადეფორმაციო ნაკერების, რკინა-ბეტონის თვალამრიდების მოწყობა, ასევე, გარე განათების ქსელის, ხიდთან მისასვლელი სანიაღვრე ჭების, დაზიანებული კედლების რეაბილიტაცია და სანაპირო ბურჯების დანაგვიანებული შიდა სივრცის დასუფთავება“, – განაცხადა დედაქალაქის მერმა.

კახა კალაძის თქმით, უახლოეს მომავალში, თბილისის მოსახლეობას ხიდის რეაბილიტაციის პერიოდში ტრანსპორტის მოძრაობის სქემის შესახებ სრული ინფორმაცია ექნება.

* * *

თბილისის მერი კახა კალაძე შესაბამის სამსახურებს მოუწოდებს, ყველაფერი გააკეთონ იმისთვის, რათა კომპანიებმა, რომლებმაც კონკრეტული პროექტების განხორციელებისას უპასუხისმგებლობა გამოიჩინეს და ვალდებულება არ შეასრულეს, ტენდერებში მონაწილეობა ველარ მიიღონ.

„ჩვენთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტულ საკითხად სატრანსპორტო პოლიტიკის მიმართულება რჩება. ავტობუსებთან დაკავშირებით ვგეგმავთ, რომ 2019 წელს მთლიანად ჩავანაცვლოთ არსებული პარკი და ახალი ევროპული, ეკოლოგიურად სუფთა ავტობუსები შემოვიყვანოთ. ასევე, მეტროსადგურების, ვაგონების და შემადგენლობების განახლება-რეაბილიტაცია ერთ-ერთ პრიორიტეტად რჩება. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ კომპანიას, რომელიც მეტროსადგურ „სამგორის“ სარეაბილიტაციო სამუშაოებს ახორციელებდა, სამუშაოები დეკემბრის ბოლოს უნდა დაესრულებინა, თუმცა მან ეს ვერ მოახერხა და თვითონ „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ იღებს ვალდებულებას, ეს სამუშაოები ბოლომდე მიიყვანოს. რა თქმა უნდა, ამ კომპანიის წინააღმდეგ „თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ“ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები გაატარა“, – განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, ჯერ კიდევ არსებობენ კომპანიები, რომლებიც პროექტების განხორციელების დროს უპასუხისმგებლოდ იქცევიან.

„ჩვენც გვქონდა ამის მაგალითები, მათ შორის, ვარკეთილის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები შვიდი თვის განმავლობაში გაგრძელდა. საუბარია 50-მეტრიან მონაკვეთზე. მსგავსი დამოკიდებულება და უპასუხისმგებლობა კატეგორიულად მიუღებელია. ასეთი კომპანიები ჩვენს გვერდში არ უნდა იყვნენ. ყველაფერი გააკეთეთ იმისთვის, რომ მათ ვეღარ შეძლონ ტენდერებში მონაწილეობა, რადგან ეს ჩვენს მიერ დაგეგმილი პროექტების განხორციელებას აფერხებს“, – განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერმა საზოგადოებას სხვა მეტროსადგურების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებაც მიაწოდა ინფორმაცია.

„ასევე, მინდა შევეხო მეტროსადგურ „გოცირიძის“ რეაბილიტაციისთვის გამოცხადებულ ტენდერს, რომელიც უარყოფითი შედეგით დასრულდა. ტენდერი დაუყოვნებლივ, განმეორებით გამოცხადდება, სადაც იმედს ვიქონიებთ, რომ გამარჯვებული კომპანია ძალიან მალე გამოვლინდება. მიმდინარე წლის 20 თებერვლისთვის დასრულდება მეტროსადგურ „ავლაბრის“ სარეაბილიტაციო სამუშაოები და მეტროსადგური უკვე განახლებული, მოდერნიზებული სახით გააგრძელებს ფუნქციონირებას; გამოცხადებულია ტენდერი „სადგურის მოედნის“ სამივე ამოსასვლელის პროექტირების შესახებაც.

რაც შეეხება მეტროსადგურ „ვარკეთილს“, სადაც ერთი წლის წინ, რეაბილიტირებული მეტროსადგურის ჭერი ჩამოინგრა, ჩვენ მიერ ჩატარებული საექსპერტო-კვლევითი სამუშაოების შედეგად დადგენილია, რომ არსებული კონსტრუქციების მდგომარეობიდან გამომდინარე, პროექტი უსაფრთხოების ნორმებს არ შეესაბამება. მოგვცეს მითითება, რომ პროექტი თავიდან უნდა განხორციელდეს, ანუ პროექტი იყო არასწორად შედგენილი და ფაქტობრივად, თავიდან მოგვიწია მუშაობის დაწყება“, – აღნიშნა თბილისის მერმა.

მისივე განცხადებით, პროექტირების ეტაპზე გადადის მეტროსადგურ „გურამიშვილის“ სარეაბილიტაციო სამუშაოები.

„აქაც ანალოგიური მდგომარეობა იყო, წარმოდგენილი პროექტი დაწუნებული იყო. მისი განხორციელება თავიდან მოხდება და სარეაბილიტაციო სამუშაოები შემდეგ დაიწყება. უკვე პროექტირების ტენდერისთვის მომზადდა და უახლოეს მომავალში გამოცხადდება ტენდერი მეტროსადგურ „ისნის“, „თავისუფლების მოედნის“, „რუსთაველის“, „მარჯანიშვილის მოედნისა“ და „წერეთლის“ საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვაზე. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოწესრიგება, რათა ის კომფორტული და ყველაზე სწრაფი იყოს. შესაბამისად, 2019 წელს საზოგადოებრივი ტრანსპორტი ერთ-ერთ პრიორიტეტად რჩება“, – განაცხადა კახა კალაძემ.

* * *

დედაქალაქის მერია ჯორჯ ბუშის ქუჩისა და მონუმენტ „ადამიანისა და მზის“ მიმდებარედ არსებულ ორივე თარგს რეაბილიტაციას ჩაუტარებს.

მისი თქმით, 10 000 კვადრატული მეტრ ფართობის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის სამუშაოები უკვე დაწყებულია.

„თბილისის მერიის მიერ მიმდინარე წელს, უმნიშვნელოვანესი პროექტი განხორციელდება, რომელიც ბუშის ქუჩის, კახეთის გზატკეცილის განაპირა ზოლებისა და მონუმენტ „ადამიანისა და მზის“ მიმდებარედ არსებული ორივე თარგის სრულ რეაბილიტაცია-კეთილმოწყობას გულისხმობს. აღნიშნული ტერიტორია საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში იყო. მისი ფართობი დაახლოებით, 10 000 კვადრატული მეტრია. სამუშაოები უკვე მიმდინარეობს. თარგებში მოეწყობა სარწყავი სისტემა, დაითესება ბალახი და სხვადასხვა სახეობის ხე-მცენარეები დაირგვება“, – აღნიშნა თბილისის მერმა.

კახა კალაძემ მერის მოადგილე მაია ბითაძეს დაავალა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული საინფორმაციო ბანერიც განახლდეს.

* * *

კახა კალაძის განცხადებით, უკვე გამოყენებული ნაძვის ხეებისა და ჩიჩილაკების მოხვედრა სანაგვე კონტეინერებში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. მისივე თქმით, მოსახლეობას ვაკის, ვერის, კიკვიძისა და რიყის პარკებში მათი ჩაბარება უკვე შეუძლია.

„ჩემი, თქვენი და ყველას ინტერესია გავუფრთხილდეთ ბუნებას. თბილისის მერია კამპანიის – „გავუფრთხილდეთ ქალაქს“ ფარგლებში, იწყებს აქციას – ჩააბარეთ უკვე გამოყენებული ნაძვის ხეები და ჩიჩილაკები ვაკის, კიკვიძისა და რიყის პარკებში, ასევე, ვერის ბაღში, სადაც შეიქმნა სპეციალური სივრცეები. ჩაბარებული მასალა სპეციალურად დამუშავდება და სხვადასხვა მიმართულებით გამოიყენება“, – განაცხადა კახა კალაძემ.

„ეკოსერვის ჯგუფის“ თანამშრომლები ჩაბარებულ მასალას სპეციალური აპარატით – მულჩერით დააქუცმაცებენ. დამუშავებული მასალა გამოიყენება, როგორც დეკორატიული მიზნებისთვის, ასევე, მიწის გასანოყიერებლად.

გამოყენებული ნაძვის ხეებისა და ჩიჩილაკების ჩაბარების პროცესი 20 იანვრის ჩათვლით გაგრძელდება.

* * *

თბილისის მერი კახა კალაძე მოადგილეებს, რაიონის გამგებლებსა და დედაქალაქის მერიის საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელებს კორუფციის წინააღმდეგ მაქსიმალური ყურადღების გამოჩენას სთხოვს.

„2018 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებელი ხარჯვით ნაწილში 98%-ზე მეტია, რისთვისაც მინდა, თბილისის მთავრობას, ზოგადად, მუნიციპალიტეტის სრულ შემადგენლობას და გამგეობებს მადლობა გადავუხადო. რაც შეეხება საშემოსავლო ნაწილს, აღნიშნული მიმართულებით, ბიუჯეტი გადაჭარბებით შესრულდა და მუნიციპალიტეტმა დაგეგმილთან შედარებით, მეტი შემოსავლები მიიღო. ეს იყო დაახლოებით 103%, რაც 2018 წლის განმავლობაში, შემოსავლების სახით იქნა მობილიზებული და ქალაქის მოსახლეობას სხვადასხვა პროექტების განხორციელების სახით მოხმარდა“, – განაცხადა კახა კალაძემ.

კახა კალაძემ თბილისის რაიონის გამგებლებსა და მერიის საქალაქო სამსახურების უფროსებს მიმართა, ყველაფერი გააკეთონ იმისთვის, რომ თბილისის მერიის მიმართ საზოგადოების ნდობა და მხარდაჭერა კიდევ უფრო გაიზარდოს.

„მინდა, მივმართო მოადგილეებს, საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელებს, გამგებლებს, მაქსიმალური ყურადღება გამოიჩინეთ კორუფციის წინაამდეგ ბრძოლაში. მინდა, კიდევ ერთხელ მოგიწოდოთ, თქვენს სამსახურებში ყველა გააფრთხილეთ, რომ არანაირი უკან დახევა არ იქნება, თუ კორუფციის ნიშნებს შევამჩნევთ. ჩემი თხოვნაა, მაქსიმალური სიფრთხილე გამოვიჩინოთ, რათა ყურადღებით ვაკეთოთ ის საქმე, რომელსაც თბილისის მოსახლეობის კეთილდღეობა და ის მნიშვნელოვანი პროექტები ჰქვია, რომელიც დედაქალაქის მოსახლეობას უნდა წარვუდგინოთ. თუ ვინმეს რაიმე პრობლემა გააჩნია, მზად ვართ, ხელი შევუწყოთ, გვერდში დავუდგეთ, მაგრამ არა კორუფციის სახით. ეს კატეგორიულად მიუღებელია, რომლის წინააღმდეგაც, მკაცრი ვიქნებით“, – აღნიშნა კახა კალაძემ.

თბილისში 220 ახალი ავტობუსი შემოვა

დედაქალაქის ვიცე-მერის ირაკლი ხმალაძის განცხადებით, თბილისში 2019 წლის განმავლობაში 220 ახალი, თანამედროვე ტიპის ავტობუსი შემოვა.

„ეს არის 220 ერთეული, რვამეტრიანი „ისუზუ“-ს მარკის ავტობუსი. დარჩენილია გარკვეული პროცედურები, თუმცა გამარჯვებულად ცნობის ოქმი უკვე ატვირთულია. საერთო ღირებულებაა 69 მილიონ ლარამდე. მნიშვნელოვანი კლება გამოიწვია სატენდერო ვაჭრობამ და წლის განმავლობაში 220 ერთეული ახალი, თანამედროვე ტიპის ავტობუსი შემოვა. დამერწმუნეთ, ეს ავტობუსები აკმაყოფილებს შესაბამის სტანდარტებს“, – განაცხადა ხმალაძემ.

კაცი „საქციელის თაობიდან“

80 წელიწადს გადააბიჯა.

— ვაა, რამდენის ვარ, ტოოო, სულ არ მეტყობა, არა, გული არ ბერდება!..

ყოველ დილით ჰანტელებს იღებს და კუნთებს ავარჯიშებს; მკლავებს ჰაერში ატრიალებს და მტევნებში ძალას ისინჯავს.

— აი, თითებიც კი არ მიკანკალებს, ჰოდა, წავედი, — იტყვის, ჩაიცვამს თავის ჭკუაზე მორგებულ ხან სახელომოჭრილ პიჯაკს, ხან ფერად-ფერად პერანგებს, ყელზე ფერად კაშნეს შეიბნევს და ისევ ნაცნობ გზას გაუყვება — ავლაბრიდან საბურთალომდე, რესპუბლიკურ საავადმყოფოში, სადაც პაციენტები და კოლეგები ელოდებიან.

მისი განწყობა გადამდებია. პაციენტებს სილაღით და უშუალობით ამახსოვრებს თავს; პროფესიონალიზმი კეთილსინდისიერების გარეშე ვერ წარმოუდგენია და ადამიანებს ყოველთვის გულწრფელი ურთიერთობისთვის განაწყობს. ცდილობს, საკუთარი სიმძიმეები, რაც წლებმა მოუტანა, სხვას არ მოახვიოს. ასეთია იგი — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს კოლოპროქტოლოგიის ცენტრის „გელა მუხაშავრიას კლინიკის“ დირექტორი და კოლოპროქტოლოგთა ასოციაციის ხელმძღვანელი ან, უბრალოდ, ექიმი გელა მუხაშავრია!

ამ გვარითა და სახელით, ყველა რეგალიის გარეშე, მას უკვე იცნობენ, ახსოვთ და ენდობიან.

გასულ წელს საპატიო თბილისელის წოდება მიანიჭეს. კარგა ხნით ადრე ჯანო ბაგრატიონმა დაწერა, გელას საპატიო თბილისელობას თუ მიანიჭებენ, ამით დოკუმენტს შექმნიან, თორემ ჩემთვის იგი კარგა ხანია, ამ წოდების მატარებელიაო. გელა კი ამბობს: ჯილდო ჩემთვის ისაა, ამ ქალაქში რომ გავიზარდე. თბილისმა მასწავლა ყველაფერი და მასზე ლაპარაკს რომ ვიწყებ, ასე მგონია, ვინმეზე ვამბობ და არა — რამეზე. ბედნიერი ვარ ჩემი თაობის გოგოებით და ბიჭებით, სულ ჩემთან რომ არიან და აბა, მაგათ აწი რაღა დამავიწყებსო.

მიუხედავად იმისა, რომ კარგა ხანს უმამოდ იზრდებოდა (მამა საკონცენტრაციო ბანაკიდან თავდახსნის შემდეგ კომუნისტებმა გადაასახლეს და სტალინის გარდაცვალების შემდეგ დაბრუნდა ოჯახში), გელა ბედის ნებიერად მიიჩნევს თავს, რადგან ცხოვრებამ სიკეთით, ნიჭიერებით, მამულიშვილობით გამორჩეულ ადამიანებს შეახვედრა და დაამეგობრა.

ამბობს, რომ ძალიან მაგარი თაობიდანაა, სამოციანელებს რომ იხსენებენ, ტარზანებივით რომ დადიოდნენ, ზურნა-დუდუკზე ქეიფობდნენ, „ჯაგიბუგებს“ იცვამდნენ და სიმართლისთვის, უიარაღოდ, არც მუშტი-კრივის გამართვას ერიდებოდნენ.

ლაშა თაბუკაშვილმა გელას „საქციელის თაობის“ კოლორიტული წარმომადგენელი უწოდა, როცა ზნეობრივი აბსოლუტისკენ სწრაფვა ლამის მესანგრე-გამნაღმველის პროფესიისას ედრება, რადგან პირველივე შეცდომა შეიძლება,საბედისწერო აღმოჩნდეს!... ამ „საქციელის თაობას“ ჩვენი მამების თაობა ჰქვია და მათგან ბევრი რამის მოსმენა და სწავლა შეიძლება.

— არა, ტოოო, რუსთაველზე რო გავივლიდი, ქუდი თუ გეხურა, შენზე უფროსს მოუხდიდი; ქალს გზას დაუთმობდი, რაღაცით ხომ უნდა გამოგეხატა მოკრძალება; მისალმებით დაიღლებოდი, იმდენ ნაცნობს ნახავდი. მე აქ გალაკტიონიც მინახავს ლაღიძის წყლების წინ, ჭადართან უყვარდა დგომა და იმ ჭადარს გალაკტიონის ჭადარს ეძახდნენ, ახლახან, წინა ხელისუფლების დროს ფესვებიანად რომ ამოგლიჯეს. აი, ნახეთ, კაბინეტში დღემდე მუხრანის ხიდის ფოტო მიკიდია. ეს ის ხიდია, ბარათაშვილის ხიდის ადგილზე რო იყო; მე ის მტკვარი მენატრება, აგერ რიყეზე რომ იშლებოდა და საბანაოდ ჩავდიოდით, ზაფხულში ვგრილდებოდით, ბაღებს რწყავდნენ. ახლა ეს მტკვარი რაღაც მოთვინიერებულ, შებორკილ, უხალისო მდინარეს ჰგავს... მიხარია, ახალ ქუჩებს რომ აკეთებენ, ასფალტს აგებენ, ხეებს რგავენ, სახლებს აშენებენ. აბა რაა, ქალაქი ცოცხალი ორგანიზმია და ვითარდება, მაგრამ აქაურობამ ის არ უნდა დაკარგოს, რაც ყველასგან გამოარჩევდა — ეს იყო ურთიერთობების ქალაქი, თბილისს ხმებიც კი გამორჩეული ჰქონდა. დილაუთენია წყნეთელი მემაწვნე დაიძახებდა და პირველი გაზაფხულის იებს და ყოჩივარდებს ის მოიყოლებდა, ყვავილების მიწაც ჩამოჰქონდათ და ქალები ქოთნის ყვავილებს ახარებდნენ... მერე „ნოჟ, ნოჟნიცი, ტაჩილკა“ დაიძახებდა; „ზეეეეეელენ“ შემოგვძახებდა ხელში მწვანილიანი ბაჯი; მერე ტრამვაი გაივლიდა რახრახით, ზაფხულში თითქმის ყველა ეზოში ნარდის და დომინოს ჭახაჭუხი იყო... ის დრო მევასება, თორემ სსრკ-ს ნოსტალგია კი არ მაქვს. ჰოო, მთელ ეზოში ერთი ტელეფონი რომ ჰქონდათ და იყო გადაძახილ-გადმოძახილი, ვის სოფლიდან ურეკავდნენ, ვის შეყვარებული... აბა, ახლა ყველას პერსონალური ტელეფონი აქვს და ერთმანეთს ოჯახშიც აღარ ეკონტაქტებიან. რისი თქმა მინდა და ასე მგონია, მაშინ ადამიანური ურთიერთობები უფრო დაცული იყო, უფრო ბუნებრივი და ხელშესახები. ამდენი შენ-ჩემობა და გაუტანლობა არ იყო. საერთო ზეიმები ჰქონდა ქვეყანას და ადამიანებს უფრო მეტი სიხარული აერთიანებდა! რა მომწონს? რა მომწონს და ყველაფერი, რაც ამ ქვეყნის სიკეთეს და უკეთეს მომავალს უკავშირდება. **მოვესწარი იმასაც, რომ ამ ქვეყანას ქალი ეყოლება პრეზიდენტი. ჩემ ირგვლივ ბევრი თანამდებობის პირი ქალი მინახავს და ვამბობ, ქალები კაცებზე უფრო ერთგულნი, პასუხისმგებლიანნი, შრომისმოყვარენი და პრინციპულებიც კი არიან. ეს ქვეყანა ღვთისმშობლის წილხვედრია და ქალის სახელს საქართველოში ბევრი სიკეთე უკავშირდება. ვფიქრობ, არც ამჯერად გაგვცრუვდება იმედი.**

იმედი ვახსენე და უნდა გითხრათ, იმედიანი კაცები და იმედიანი ქალები გვჭირდება ახლა, იმედების გამართლება უნდა დაიწყოს, რომ ბეწვის ხიდიდან მაგისტრალებზე გადავიდეთ. მჯერა, ასე იქნება! მანამდე კი უმთავრეს პრობლემად სოფელი მიმაჩნია. მე მთელი ჩემი ბავშვობა და ახალგაზრდობის ზაფხულები გურიის ულამაზეს სოფელ ძიმითში მაქვს გატარებული, სადაც ბებია- ბაბუა მელოდებოდა, სოფელმა მომცა ის, რაც არსად, არცერთ სასწავლებელში არ ისწავლება, ესაა ტრადიციების პატივისცემა, უფროს თაობასთან დამოკიდებულება, შრომის ფასი, ადამიანებთან ურთიერთობის სილაღე და სიყვარული, სოფელს აქვს სამყაროს ნამდვილი შეცნობის უნარი, საცოდაობაა, დღეს ადამიანებმა სარჩოს საძებნელად რომ მიატოვეს თავიანთი წინაპრების ეზო-კარი და სხვა ქვეყნებს შეაფარეს თავი. ჩემი შვილები სოფელს ვერასოდეს შეელევიან და გასაყიდად ვერ გაიმეტებენ, მაგრამ ვერც ამათი შთამომავლები გაყიდიან წინაპრების ფუძეს, ავდექი და ჩემი უსაყვარლესი ადამიანები ჩემი გამზრდელი ბებია-ბაბუა და მამიდა ეზოში დავკრძალე და წინააღმდეგობაც ვერავინ გამიწია... სოფელს ადამიანები უნდა დაუბრუნდნენ და აღადგინონ მეურნეობა, ექიმებმა და სამედიცინო დარგის მუშაკებმაც ამ პროცესში მიიღონ მონაწილეობა და იქ მუშაობაც პრესტიჟული უნდა იყოს, თუნდაც როტაციის პრინციპით, რადგან საქვეყნო საქმეზეა ლაპარაკი, ქალაქი სოფლის გარეშე წარმოუდგენელია, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი გლეხმა უნდა მოიწიოს, თორემ თუ ასე გაგრძელდა, მალე ნამდვილი რძის ყველიც საძებარი იქნება და ბოსტანში მოყვანილი მწვანილიც. ბოლო-ბოლო, ქართველები ხომ გეორგიანელები, ანუ მიწათმოქმედები არიან!!!

წლების წინ გიზო ნიშნიანიძე ბატონ გელა მუხაშავრიაზე წერდა:

— სადღა არიან შენისთანა კაი ყმები? ისე იცვლება დროც და ადამიანიც, ასე მგონია, კაცს სწორი ნაწლავიც აღარ შერჩა სწორად და ბრმა ნაწლავიც აღარაა ბრმა, რომ ვერ ხედავდეს, რა დღეში არიან ადამიანები ან ამ წუთისოფელს რა ზნეც სჭირსა, მაგრამ ბევრის იმედად მეგულები გელა მუხაშავრიაო... და ამ იმედში მხოლოდ ექიმს არ გულისმობდა, წლების ურთიერთობამ დაარწმუნა, რომ ღირსეული ადამიანი ყველა საქმეში ღირსეულია.

ახლა, სამუშაო დღის შემდეგ სახლში დაბრუნებული ექიმი, საგულდაგულოდ ეცნობა პრესას და გაზეთით ურჩევნია შეიტყოს ქვეყნის ამბები, საღამოს საინფორმაციო გამოშვებებს „იბარებს“, ქვეყნის მაჯისცემას აყურადებს, უფრო გვიან, ღამის სიმშვიდეში კი თავისთვის, დიდ ბლოკნოტში ჩანაწერებს აკეთებს, ხან მუზაც ეწვევა და სათქმელს გარითმავს:

ბევრი ტკივილი ვატარე,
დარდებიც ამიტანია,
ვერ შევეგუე არტახებს და
ლელოც გამიტანია.
მადლობა, ვისაც გიყვარვართ,
მე ყველას ვარქმევ ჩემიანს,
თუკი გაიგეთ ვინა ვარ,
ეს კარგი განაჩენია!

ნინა ახალაძე

თეოლოგები უკრაინის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების საკითხს აფასებენ

როგორც თეოლოგები აღნიშნავენ, ერთიანი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მართლმადიდებლურ ეკლესიაში არ არსებობს.

ლევან აბაშიძეს მიაჩნია, რომ მთავარია, თუ როგორი დამოკიდებულება ექნება თავად უკრაინელ ერს ეკლესიის ავტოკეფალიის მიღებასთან დაკავშირებით. ის ასევე მილოცვის საკითხსაც შეეხო და აღნიშნა, რომ მეორეხარისხოვანია, ვინ მიულოცავს უკრაინას ეკლესიის დამოუკიდებლობას და ვინ არა.

„რატომ არ ჩქარობს ჩვენი ეკლესია, რატომ იკავებს თავს — ერთი ის არის, რომ ჯერ ჩვენ არ ვიცით სხვა ეკლესიების პოზიცია და მთავარი ის არის, რომ ჩვენ არ ვიცით თავად უკრაინელთა პოზიცია,“ — აღნიშნავს ლევან აბაშიძე.

აბაშიძე არ იყო ერთადერთი, რომელიც უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიას გამოეხმაურა. ნუგზარ ბარდაველიძე ყურადღებას მილოცვის საკითხს ანიჭებს და აცხადებს, რომ თუ უკრაინის პრეზიდენტი იტყვის, რომ ავტოკეფალიის მოპოვებით რუსეთის გავლენისგან გათავისუფლდა, მაშინ საქართველოს ხელისუფლების მიერ მილოცვა ლოგიკური იქნება.

უკრაინისთვის ეკლესიის დამოუკიდებლობის მოპოვება არც საქართველოს ხელისუფლების პირველ პირებს მიულოცავთ.

ჯვრის მონასტერი გაიხსნა

რამდენიმედღიანი დაკეტვის შემდეგ ჯვრის მონასტერი გაიხსნა. **მონასტრის წინამძღვარი ეკლესიაში არც ტურისტებს და არც მომლოცველებს არ უშვებდა.**

ჯვრის მონასტრის საძმომ წერილი გაავრცელა, სადაც განმარტეს ის მიზეზი, რის გამოც 48 საათი ტაძარი დაკეტილი იყო. განცხადების თანახმად, ტაძრის დაკეტვის გადაწყვეტილება მოუგვარებელ კონფლიქტებს უკავშირდება. წერილში ნათქვამია, რომ ადგილობრივ ხელისუფლებასთან და ეკლესიასთან შეთანხმების გარეშე, გარემოვაჭრეებმა ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ავტოსადგომი დაიკავეს და უკანონო ვაჭრობა დაიწყეს.

მონასტერთან შექმნილი ვითარება ცივილიზებულ გარემოს არ შეეფერება

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ ბატიაშვილი ჯვრის მონასტერთან შექმნილ ვითარებას ეხმიანება.

„ამ დროისათვის პრობლემა გადაჭრილია — ჯვრის მონასტრის ჭიშკარი გახსნილია, თუმცა, ისიც ცხადია, რომ მონასტერთან შექმნილი ვითარება ცივილიზებულ გარემოს არ შეეფერება. სწორედ ამიტომ, ჩვენი უწყების ინიციატივით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო მუნიციპალური განვითარების ფონდთან ერთად უკვე მუშაობს შესაბამისი ინფრასტრუქტურული პროექტის ჩამოყალიბებაზე, რომლის განხორციელების შემდეგაც, არსებული ვითარება მოწესრიგდება“, — განაცხადა მინისტრმა. შეგახსენებთ, რომ სამი დღის განმავლობაში ჯვრის მონასტერი დაკეტილი იყო. ეს გადაწყვეტილება მონასტრის წინამძღოლმა კონსტანტინე ჯინჭარაულმა ერთპიროვნულად მიიღო. მიზეზად, მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე გარევაჭრობა დასახელდა.

„ყველაფერი იცოან და ყველაფერი გაუგებათ მხოლოდ სულელებსა და თაღლითებს“

ასე ამბობდა ანტონ ჩეხოვი

ქართულად გადმოაქცია გურამ გოგიაშვილმა

ჩეხოვი ქალებზე, დაქორწინებასა და სიყვარულზე

სათნო, მშვიდი ქალი გულმოსული ამბობს:

– კაცი რომ ვყოფილიყავი, ცხვირ-პირს დავუმტვრევდი მაგას!

* * *

გადავიყვარე ქალი, სიყვარულის გრძნობა, მშვიდი მდგომარეობა, გრძელი, მშვიდი აზრები.

* * *

სრულ, მადისმომგვრელ ქალს გადავეყარე: ეს ქალი კი არა, სავსე მთვარეა.

* * *

პატარა გოგოცუნა აღფრთოვანებული ამბობს თავის მამიდაზე: ძალიან ლამაზია, ძალიან ლამაზი, როგორც ჩვენი ძაღლი!

* * *

დამდგარი ქალია, ბოლოაღმააშვერილ თევზსა ჰგავს; პირი ფუღუროსავით დაუღია, ნეტავი შიგ ერთი კაპიკიანი ჩამაგდებინაო, ფიქრობ.

* * *

ეს ქალი კი არა, პეტარდაა, ჭექუნა.

* * *

შინ როცა ხარ, მშვიდად ცხოვრება ჩვეულებრივი გეჩვენება, მაგრამ როგორც კი ქუჩაში გახვალ და მიმოიხედავ, დაჰკვლევ, ხან ვის რას შეეკითხები, ხან ვის რას, მაგალითად, ქალებს, ცხოვრება ეგრევე საშინელება ხდება. პატრიარქის ტბორების შემოგარენი შეხედულად წყნარი და მშვიდობიანია, მაგრამ სინამდვილეში შიგ ჯოჯოხეთია და ისეთი შიშის დამტეხელი უბედურება ტრიალებს, რომ გაპროტესტების თავიც კი არა აქვს.

* * *

პირველი კლასის საძილე ვაგონი. მგზავრები №5, 6, 7 და 8 პატარძლებზე ლაპარაკობენ. ხალხში დედამთილთა აუგი ისმის, ხოლო ინტელიგენციაში რძლებს ემდურიან. „ჩემი უფროსი ვაუის ცოლი განათლებულია, საკვირაო სკოლებშიც ასწავლის, არც ბიბლიოთეკებს თაკილობს, მაგრამ უტაქტოა, მშრალია, სასტიკი, ჭირვეული და ფიზიკურადაც ნასი; სადილად რომ ვსხედვართ, რომელიღაც საგაზეთო წერილის გამო იმისთანა დავიდარაბას ასტეხს, გული შეგიწუხდება. დიდი პრანჭვა-გრეხის მოყვარულია. მეორე რძალი საზოგადოებაში თავს კი იჭერს, არა უშავს რა, მაგრამ შინ დიდი თავხედი ვინმეა, ეწევა, ძუნწობას ხო ნუღა იტყვი და ჩაის კვნიტი შაქრით რომ სვამს, კვნიტს ტუჩებსა და კბილებს შუა მოიქცევს და ისე ლაპარაკობს ხოლმე“.

* * *

ამძვეყნად ქალის სქესისგან ბევრი ბოროტება და სისაძაგლე ხდება. არამარტო ჩვენ, ცოდვილნი, წმინდა მამანიც ბევრნი შემცდარან.

* * *

მარტოობისა თუ გეშინია, ცოლს ნუ მოიყვან.

* * *

ყურებში გაყრილი ბრილიანტები, ტურნური და თავის დაჭერის უუნარობა. მილიონერი ქალია. ასეთ გვამებთან სულელურ სემინარიულ გრძნობას განიცდი, ოდეს ტყუილუბრალოდ ეპირები რისამე ყადავახად, ანუ უკმეხად, ბრიყვულად თქმას.

* * *

კეთილი, ცოლი მომყავს... მაგრამ ჩემი პირობებია: ყოველივე ისე უნდა დარჩეს, როგორც აქამდე იყო, ანუ მან მოსკოვში უნდა იცხოვროს, მე კი სოფელში და იქიდან ვივლი დედაქალაქში. ბედნიერებას, რომელიც ყოველდღე, დილიდან საღამომდე გრძელდება, ვერ ავიტან. როცა ცისმარე დღე ერთსა და იმავეს მეჩიჩინებიან, თანაც ერთნაირი ტონით, ვმძვინვარდები.

* * *

ერთმანეთს იმიტომ ირთავენ, რომ არც ერთს სხვა გზა არა აქვს.

* * *

აბა, პოეტური ჯვრისწერა ის იყო, თუ იყო, მაგრამ მერე: ერთი შერეკილია, მეორე – აბუეტი!

* * *

სიყვარული. ეს ან რაღაც გადაგვარების გზაზე შემდგარი, ოდესღაც რისამე უზარმაზარის ნაშთია, ან იმის ნაწილია, რაც მომავალში უზარმაზარ რამედ განვითარდება, ამჟამად კი ვერ გვაკმაყოფილებს, გაცილებით ცოტას იძლევა, ვიდრე ველოდით.

* * *

N – 40 წლისამ მოიყვანა 17 წლისა! პირველ ღამეს ნეფემ პატარძალი თავისთან მაღაროში მიიყვანა, როგორც კი დასაძინებლად დაწვა, პატარძალს გული ამოუჯდა და აქვითინდა იმის გამო, რომ თანამეცხედრე არ უყვარდა. ნეფე კეთილი კაცი იყო, შეწუხდა, გულგასივებული ადგა და თავის კაბინეტში წავიდა დასაძინებლად.

* * *

მოღალატე ცოლი დიდი ცივი კატლეტია, რომლის ხელის ხლებაც არ გინდა, რაკი ის უკვე სხვას ეჭირა ხელში.

* * *

როცა ის კაბას წამოიხდის ხოლმე და თავის ლამაზ ქვედატანს გამოიჩენს, აშკარაა, რომ ის იმ ქალივით იცვამს, რომელიც არცროდის კაცის თვალს არ ისაკლისებს.

* * *

მწვანე თვალები აქვთ ტუტუც ქალებს ან გიუებს!

* * *

ცოლმა თუ გიღალატა, გიხაროდენ, რომ შენ გიღალატა და არა – სამშობლოს!

* * *

ქალს მამაკაცის მეგობრად ყოფნა შეუძლია ასეთი თანამიმდევრობით: თავიდან ნაცნობია, მერე საყვარელი, შემდეგ უკვე მეგობარი.

* * *

შეხედავ მავან ქმნილებას და აღტაცების მხრივ – მილიონერი ხარ, მაგრამ სულში ჩახედავ და ჩვეულებრივი ნიანგია.

* * *

ყველას აქვს იმის უფლება, ვისთანაც უნდა და როგორც უნდა, ისე იცხოვროს – ეს განვითარებული ადამიანის უფლებაა.

* * *

რა არის თანაცხოვრება? ეს შენი ბუდეა, შენი მზიანი ამინდია, შენი მწუხარება და სიხარულია, შენი პოეზიაა.

* * *

ო, ლაჯაღებულნო დიაცნო, რარიგ მძულხართ!

* * *

ქალი ისე უნდა აღვზარდოთ, რომ თავისი შეცდომების შეგნება შეძლოს, თორემ, თავისი აზრით, ის მუდამ მართალია.

* * *

როცა ადამიანებს ერთმანეთი უყვართ, ისინი კი არ ჩხუბობენ, მშვიდად არკვევენ ურთიერთობებს.

* * *

ქალები თუ მამაკაცთა საზოგადოებაში არ არიან, ჭკნებიან, ხოლო კაცები, ქალთა საზოგადოებას მოწყვეტილნი, ჩერჩეტდებიან.

* * *

თუჯი ქალებზე წერ, ძალაუნებურად სიყვარულზე უნდა წერო.

* * *

ქალში თუ იმას ეძებ, რაც შენში არ არის, ეს სიყვარული კი არა, თაყვანებაა, რამეთუ სიყვარული ის არის, როცა შენი ტოლი და სწორი გიყვარს.

* * *

კაცს ორი ცოლი ჰყავს: ერთი პეტერბურგშია, მეორე – ქერჩში. მაინც არ უსვენებენ ერთმანეთს, სულ აყალმაყალი აქვთ, ემუქრებიან ერთმანეთს, დეპეშას დეპეშაზე აგზავნიან. საწყალი კაცი ლამის თვითმკვლელობამდე მიიყვანეს. ბოლოს და ბოლოს, ხერხს რასმე მიაგნო: აღგა და ორივენი ერთად დაასახლა. ქალები საგონებელში ჩაცვივდნენ, ენა ორსავე თითქოს მუცელში ჩაუვარდა – გაკრინტდნენ.

* * *

ცოლ-ქმარს სტუმრიანობა უყვარდა, რადგან თუ სტუმარი არა ჰყავდათ, სულ ჩხუბში იყვნენ.

* * *

N – ქმარი ჯერ პროკურორია, მერე სასამართლოს წევრი, მერე სასამართლოს პალატის წევრი, არც ღვინოა, არც წყალი, უღიმღამო ვინმეა, მაგრამ ცოლს ძალიან უყვარს ქმარი, კუბოს კარამდე ეფიცება სიყვარულს, სწერს გულისამაჩუყებელ, უწყინარ ბარათებს, როცა ქმარს რამე შეცდომის ამბავს იგებს და ლამის სიყვარულით დადნეს. თუმცა, როგორც ეტყობა, მართლა ქმარი კი არ უყვარდა, არამედ ვიღაც სხვა, ციდან გადმომზირალი, ვარსკვლავებს მოწყვეტილი, არარსებული, ქმარს კი ამ სიყვარულის თავსხმაში ამყოფებდა. მერე, ამ საოცარი ცოლის სიკვდილის შემდგომ, სახლში იმისი ფეხის ხმა ისმოდა.

* * *

ქალბატონი N, თავისი თავით მოვაჭრე, სუყველას ერთსა და იმავეს ეუბნება: შენ იმიტომ მიყვარხარ, რაკი ისეთი არა ხარ, როგორიც ბევრი სხვაა.

* * *

მონტე-პარლოში ფეხბუმბულებს ტონიც ფეხბუმბულური აქვთ. მგონი, პალმაც ფეხბუმბულაა, კურტუმგადმობრუნებული დედალიც...

* * *

ქალს უთხრა, არ მიყვარხარო, ისეთივე უზრდელობაა, მწერალს რომ უთხრა, ძალიან ცუდად წერო.

* * *

შემჩნეული მაქვს, კაცი ცოლს მოიყვანს თუ არა, ცნობისმოყვარეობას კარგავს.

* * *

სხვაობა კაცსა და ქალს შორის: ქალი რომ ბერდება, სულ უარდაუარ ულრმავდება დიაცურ საქმეს, კაცი კი რომ ბერდება, სულ უარდაუარ შორდება დიაცურ საქმეს.

* * *

ოჯახურ ცხოვრებაში მთავარია მოთმინება... სიყვარულს დიდხანს გაგრძელება არ ძალუძს.

* * *

იმის მერე, რაც იმან ცოლი მოიყვანა, აღარც პოლიტიკა, აღარც ლიტერატურა და აღარც საზოგადოება აღარ აგულისყურებდა, როგორც ადრე; სამაგიეროდ, ყოველივე ფუჭი საქმე, რაც ცოლსა და შვილს ეხება, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდებოდა.

* * *

გინდა პარიზში ცოლითურთ წასულხარ, გინდა ტულაში თუ მიდიხარ, თან შენი სამოვარი წაგიღია.

* * *

რამხელა ბედნიერებაა, თუ მავანი შენც გიყვარს და მავანს შენც უყვარხარ!

* * *

როცა გიყვარს, შეყვარებული ხარ, ისეთ სიმდიდრეს აღმოაჩენ შენს თავში, იმდენ სინაზეს, ალერსიანობას, ვერც იჯერებ, ნუთუ აგრერიგად სიყვარული შემძლებიაო.

* * *

არასწორია, რომ დროთა განმავლობაში ყოველგვარი სიყვარული გადის. არა, ნამდვილი სიყვარული კი არ გადის, დროთა განმავლობაში მოდის. ერთბაშად კი არა, თანდათან იგებ საყვარელი ქალის სიახლოვის სიხარულს. ეს როგორც კარგი ძველი ღვინო, ისეა. უნდა მიეჩვიო, ხანგრძლივ უნდა წრუპო, რომ მთელი გემო გაუგო.

* * *

ვინც ყველაზე მაღლა აყენებს თავის მოყვასთა სიმშვიდეს, იმან სავსებით უარი უნდა თქვას იდეურ ცხოვრებაზე.

* * *

არცროდის ისე არ გიყვარან შენიანები, როგორც იმ დროს, როცა იმათი დაკარგვის რისკს ეწევი.

* * *

მხოლოდ ნორჩ, უმშვენიერეს, პოეტურ, ზმანებათა სამყაროში გამტაცებელ სიყვარულს ძალუძს ამქვეყნად შენი გაბედნიერება!

* * *

როცა სიყვარული გიპყრობს, სულ განუწყვეტლივ ეკითხები შენს თავს: პატიოსნად ვიქცევი თუ არაო, გონივრულად ვიქცევი თუ სულელურადო, რას მიზამს ეს სიყვარულიო, და კითხვებს რა გამოლევს.

* * *

რასაც იმ დროს განვიცდით, როცა შეყვარებულნი ვართ, შესაძლოა, ნორმალური მდგომარეობაა. შეყვარებულობა მკაფიოდ გვიჩვენებს, როგორნი უნდა ვიყვნეთ.

* * *

ვინც ალერსით ვერ მოიპოვებს, ის სიმკაცრით ვერაფერს ვერ გახდება.

* * *

მედიცინა გვასწავლის, რომ უცოლონი, ანუ თაუშნი, ჩეულებრივ გიუებად იხოცებიან, ცოლიანები კი ისე იხოცებიან, რომ გაგიუებას ვერ ასწრებენ.

(გაგრძელება იძნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №263-265 (2018 წელი)
იხ. №1 -2, 6-10 (2019 წელი)

ეროვნული ნიჟარაძე

კაცი და საწუთროება

კოლაუ ნადირაძე პირველად თბილისში, მაჩაბლის ქუჩაზე, მწერალთა სასახლის ეზოში დავინახე, კვიპაროსის ქვეშ, მერხზე განმარტოებით მჯდარი.

ზაფხულის ცხელი დღე იდგა. უკვე ასაკოვან მგოსანს გრძელსახელოებიანი მოცისფრო პერანგი ეცვა, სამაჯეშეკრული.

წამსვე ვიცანი, სურათით, რა თქმა უნდა. ჰოლივუდის რომელიღაც მსახიობს ჰგავდა გარეგნობით. ისეთი სახე ჰქონდა, ერთხელ თუ ნახავდი, ძნელად დაგავიწყდებოდა. ოთხმოცი წლისა იყო ამ დროს, დაახლოებით, მაგრამ გარეგნულად ოთხმოცისა არაფერი ეტყობოდა. რაც შეეხება სულს, სულიერად საუკუნეს მიღწეულიც ახალგაზრდა დარჩა.

სამკითხველოში ვიჯექი, პირველ სართულზე, სარკმელთან მიდგმულ მაგიდასთან და გაზეთებს ვათვალიერებდი. მინდოდა მისი გაცნობა, მაგრამ საკმაოდ ადრე იყო და ისეთი არავინ გამოჩნდა მწერალთაგან, ვინც მასთან წარმადგენდა, ისე მისვლა კი მეუხერხულა.

დაახლოებით ოცი წუთი იჯდა ბაღში მარტოკა. დროდადრო გავხედავდი ხოლმე, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, მდგომარეობა ერთხელაც არ შეუცვლია.

იჯდა ქვაში ნაკვეთივით და ორივე ხელით ჩაბღუჯული საქაღალდე გულზე სასოებით მიეკრა.

იყო რაღაც ნიშანდობლივი ამ გახევებასა და უძრაობაში.

ასე უძრავად, ასე შეურყევლად, უშეღავათოდ იდგა ის თავის თვალსაზრისზე, რაც არსებულ სინამდვილესთან შინაგან შეურიგებლობაში გამოიხატებოდა.

ასე მაგრად ჰქონდა მას ხელებში ჩაბღუჯული თავისი საძმოს ალამი, ალამი ცისფერყანწელთა, რომელთაგან ორს, პაოლო იაშვილს და ტიციან ტაბიძეს ბოლშევიკებმა სისხლი ანთხევინეს.

გულისგულში ის სათუთად ატარებდა გრიგოლ რობაქიძის ხსოვნასაც, იმავე ბოლშევიკებმა დევნილობაში რომ ამოხადეს სული და სამშობლოში დამარხვა არ აღირსეს. გრიგოლზე კოლაუ ნადირაძეს არაფერი გამოუქვეყნებია და ვერც ვერაფერს გამოაქვეყნებდა იმ ხანაში, მაგრამ მე ეს იმთავითვე ვიგრძენი სამი სიტყვიდან, რომელიც მან ჩემს მიერ დასმული ერთი კითხვის პასუხად გამცა: გრიგოლის დრო მოვა!

ცოტა თუ მოიძებნებოდა ოციანი წლების საქართველოში ნამდვილი მწერალი, ვისაც მართლა მოსწონდა ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების დაპყრობა და რაღა მაინცდამაინც კოლაუ ნადირაძე იქნებოდა მათი სისხლიანი ღრეობით აღტაცებული.

რუსეთის რევოლუცია, როგორც ქარიშხლიანი მოვლენა, მას მოსწონდა ზოგადად, მიზანდასახულობაში, მაგრამ მის გამოვლინებასა და განხორციელებას რომ გამანადგურებელი შედეგები მოჰყვა, არც ეს დარჩენია შეუმჩნეველი.

შემდეგ და შემდეგ, ჩვენი საუბრებისას, მგოსანი შთამბეჭდავად ლაპარაკობდა რუსეთში მისი განსწავლის ხანის, მეფის ხელისუფლების დამხობის წინადროინდელ, მოსკოვსა და პეტერბურგზე; სიახლეების საყოველთაო მოლოდინზე, რომელიც მაშინ საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი მის ყველაზე მეამბოხე ნაწილში, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებში, იგრძნობოდა; სისხლსავსე მწერლობით, თეატრალურ და კულტურულ ცხოვრებაზე. იხსენებდა ხშირ მგოსნურ საღამოებს და მგოსანთაგან გამოყოფდა ბლოკს, ბალმონტს, ანდრეი ბელის... პეტროგრადში მას ენახა ტროცკის გამოსვლა, რაც, ცხადია, იმას არ ნიშნავდა, რომ ის ტროცკის მომხრე იყო და მის აზრებს იზიარებდა.

1920-ან წლებში მის მიერ შექმნილი და პოემების რკალში მოქცეული, ღრმა შინაგანი განცდის ძალით და ლექსთხზვის თვალსაჩინო ხელოვნებით აღბეჭდილი ნაწარმოებები: „წითელი მოედანი“, „1905“ და „ბალადა შოტლანდიელ ცეცხლფარეშზე“ სწორედ რუსეთის რევოლუციით მისი ახალგაზრდული გატაცების გამოძახილი უნდა იყოს.

იმ დღეთა ექო 1951 და 1956 წლებში დაწერილ მის ორ ლექსშიც: „ლენინი ოქტომბერში“ და „ლენინი“, გამოისმის.

მიუხედავად ამისა, ძნელი სათქმელია, თუ რამდენად გულწრფელი იყო მგოსანი აღნიშნული ნაწარმოებების შექმნისას. ამ ეჭვს ბადებს ალაგ-ალაგ ზღვარგადასული, ზეაწეული ხმიანება, და, განსაკუთრებით, ლენინის პიროვნების გადაჭარბებული შეფასება. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ლენინი მგოსანს რაღაცისთვის სჭირდება. შესაძლოა, ერთი მხრივ, საქართველოში მოქმედ აღვირახსნილ, გათავხედებულ, მოწინამძღოლო პირებთან შესაჯახებლად, მეორე მხრივ კი, როგორც საფრთხობელა, ირგვლივ მოყაშყაშე სვავებისა და ყვავ-ყორნების მოსაგერიებლად.

პირადად ჩემთან, რევოლუციის წინა ხანის რუსეთზე საუბრისას, ლენინის გვარი ერთხელაც არ წამოსცდენია. რამდენჯერმე ახსენა ბაკუნინი, ორ-სამჯერ ტროცკი, ფრანგი ოგიუსტ ბლანკი და ალექსანდრე პარვუსიც კი, რომლის ვინაობაც მაშინ ყველამ როდი უწყოდა.

მაგრამ, როდესაც საქმე ეხებოდა მწერლის სახელისა და შემოქმედების უცხოეთში გატანას, აქ უკვე კოლაუ ნადირაძეს თვით ლენინის ხსენებაც ვეღარ შველოდა. მაგალითად, ლაიპციგში 1980 წელს გამოცემულ უცხოენოვან მწერალთა ცნობარში, რომელშიც არის წერილები მის ცისფერყანწელ თანამოსაქმეებზე პაოლო იაშვილზე და ტიციან ტაბიძეზე და არაერთ მასზე უმცროს ქართველ მწერალზე, ოთხმოცდახუთი წლის კოლაუ ნადირაძის ვინაობა „გამორჩენილია“. ამაში ჩვენ, რასაკვირველია, ცნობარის გერმანელ შემდგენლებს ვერ დავადანაშაულებთ, რაც მიაწოდეს, ის დაბეჭდეს!

თუ როგორ იყო გაჟღენთილი მე-20 საუკუნის დასაწყისში მეამბოხე განწყობით რუსეთის ძალადობით შეკოწიწებული სამეფო, ამას ისიც მოწმობს, რომ პეტერბურგიდან და მოსკოვიდან შორს, ქუთაისში, რიონის პირას, ყმაწვილი კოლაუ ნადირაძე კაზმული გიმნაზიის მეშვიდე კლასიდან სახელმწიფოს საწინააღმდეგო გამოსვლისთვის გარიცხეს და ცოტა ხანში დააპატიმრეს კიდეც, როგორც მისივე სასწავლებლის ხელმძღვანელზე თავდასხმაში ეჭვმიტანილი.

რამდენად ესმოდა მეშვიდე კლასის მოსწავლეს რევოლუციის არსი, ძნელი სათქმელია, მაგრამ ეს ამბავი აშკარად მიანიშნებს მომავალი მგოსნის მოუსვენარ, ფეთქებად ბუნებაზე.

პატიმრობიდან მალე გაანთავისუფლეს, თუმცა სასწავლებელში აღარ აღადგინეს. დიდი მცდელობა დასჭირდა, გარიცხულს და ეჭვმიტანილს, რომ ხელძღვანელობას გამოსაშვებ გამოცდებზე, ის როგორც გარეშე პირი, მაინც დაეშვა. მიაღწია რა თავისას, ბოლოს ნამდვილი გმირობა გამოიჩინა და მრავალთაგან იმ სამ მონაწილეს შორის აღმოჩნდა, ვინც გამოცდების ჩაბარება შეძლო.

თვითონ რევოლუციას კოლაუ ნადირაძე რუსეთში არ შესწრებია, რადგან მანამდე დაბრუნდა საქართველოში: **„1916 წელი. ჩვენ განუყრელი მეგობრები ვართ: პაოლო იაშვილი, საფრანგეთიდან დაბრუნებული, ვალერიანი, ტიციანი, სანდრო ცირეკიძე, ივ. ყიფანი, გრ. ჯაფარი, ლელი ჯაფარიძე და მე ვაარსებთ ლიტერატურულ ჯგუფს „ცისფერ ყანწებს“, იცემა „ცისფერი ყანწების“ ორი ნომერი. „ცისფერი ყანწების“ მე-2 ნომერში იბეჭდება ჩემი პირველი ლექსი „ავზნიანი ქალაქი“! ჩვენს ჟურნალში მონაწილეობენ აგრეთვე არაყანწელებიც: გალაკტიონ ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, არისტო ჭუმბაძე და სხვ. გარდა ამისა, საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ჩვენმა ჯგუფმა, პირველად გამოსცა გაზეთი „პოეზიის დღე“, ჩვენ შევძელით ყველა იმდროინდელი პოეტებისა და პროზაიკოსების დაბეჭდვა მათი ლიტერატურული მიმართულების განურჩევლად. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენი მეგობრების ნაწილი ტოვებს ქუთაისს და თბილისში გადადის საცხოვრებლად. ქუთაისში დარჩენილი ამხანაგები ვიწყებთ ჟურნალების „მეცნენე ნიამორების“ (ვ. გაფრინდაშვილის რედაქტორობით) და „შვილდოსნის“ (ს. ცირეკიძის რედაქტორობით) გამოცემას. (ვ. გაფრინდაშვილის, „დაისები“, ს. ცირეკიძის „მთვარეულები“, კ. ნადირაძის „ბალდახინი“). საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მე და ჩემი მეგობრები გადავდივართ თბილისში საცხოვრებლად.“**

ეს ამონაწერი გამიკეთებია 1973 წელს, კოლაუ ნადირაძის თვითგანვლილობიდან, რომელიც მან ორი წლით ადრე გამოცემულ თავის „ერთტომეულს“ წაუმძღვარა. მე ის, ოცდახუთი წლის შემდეგ, დევნილობაში, საქართველოდან რის ვაი-ვაგლახით ჩემამდე მონაღწევ ერთ საქაღალდეში აღმოვაჩინე და საფუძვლად დავუდე ამ თხზულებას, რომელშიც, წლების სიღრმიდან ამოზიდულ მოგონებათა შესადარზე, ცისფერყანწელი მგოსნის მეობის წარმოჩენას შევეცადე.

მე-20 საუკუნის ქართული მწერლობის მატიანისთვის კოლაუ ნადირაძის ამ სიტყვებს ბაჯაღლო ოქროს ფასი აქვთ, მაგრამ ჩემს განსაკუთრებულ ცნობისწადილს ახლა ორი წინადადება აღძრავს: 1. **„რამდენიმე წლის შემდეგ ჩვენი მეგობრების ნაწილი ტოვებს ქუთაისს და თბილისში გადადის საცხოვრებლად.“** 2. **„საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მე და ჩემი მეგობრები გადავდივართ თბილისში საცხოვრებლად.“**

„მეგობრების ნაწილში“, რომლებიც საქართველოს ძალად გასაბჭოებამდე ტოვებს ქუთაისს და თბილისში გადადის, როგორც კოლაუ ნადირაძის მოგონებების წიგნიდან „რაც ლექსად ვერ ვთქვი“ (თბილისი 1984) ირკვევა, ცისფერიყანწელთა უმეტესობა, მათ შორის, პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე იგულისხმება.

თვითონ კოლაუ ნადირაძე, ამავე მოგონებების წიგნის მიხედვით, თბილისში გასაბჭოების შემდეგ, 1923 წელს, გადადის საცხოვრებლად.

მაშასადამე, ის არ ყოფილა თბილისში 1921 წლის 25 თებერვალს, როდესაც ერთადერთი მიზეზის გამო, რასაც რევოლუციით მეოცნებე გატაცება ერქვა, პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე თბილისში ცეცხლით და მახვილით შემოჭრილ წითელ მეთერთმეტე საჯარისო ნაწილს და თეთრ ცხენზე ამხედრებულ წითელ სერგო ორჯონიკიძეს შეეგებნენ.

ყოველ შემთხვევაში, საქართველოსთვის იმ საბედისწერო დღეს, კოლაუ ნადირაძე მათთან ერთად არ მოიხსენიება.

გამოხდა ხანი და პაოლოს და ტიციანს ეს წმინდა მგოსნური გატაცება იმავე წითლებმა ძვირად დაუსვეს.

ახალგაზრდობაში მეოცნებე ცისფერყანწელებმა თავიანთი სახელები მგოსნურ რიგზე მოაგვირისტეს და ევროპული ჟღერადობა მიანიჭეს.

ცნობილია სტალინის უარყოფითი, დამცინავი დამოკიდებულება ამ ამბისადმი, რაც ცისფერყანწელებისთვის კარგს არაფერს მოასწავებდა.

„რა არის ეს პაოლო, ტიციანი, ვალერიანი, კოლაუ? პავლე! ტიტე! ვალიკო! კოლა!“ — წამოიძახა თურმე გაღიზიანებულმა სტალინმა და „მეოცნებე ნიამორების“ მგოსნური გატაცება ერთ წამში დაამიწა.

თანამედროვეობას ჩვევია წარსულის აღმატებით საფეხურზე აყვანა. თანამედროვეობას ძალიან მოსწონს თქმულება, გადმოცემა მწერალ ზეადამიანზე, ვინც აკვნიდანვე ხმალშემართული ებრძოდა ბოროტ ძალმომრეობას, კბილებით იცავდა თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ვინც არ იცოდა, რა იყო შიში და უკან დახევა, ეჭვი და გაორება. ვინც განუხრელად მიჰყვებოდა ერთხელ და სამუდამოდ არჩეულ გზას, მუსრავდა ამ გზაზე ყოველგვარ წინააღმდეგობას და თუ ლელო საბოლოოდ ვერ გაჰქონდა, ამაყად იღუპებოდა თავისი სანატრიონებისთვის ბრძოლაში.

არადა, ჩვეულებრივ ადამიანს კი არა, თვით მაცხოვარსაც არ უცხოვრია დედამიწაზე, როგორც ზესულდგმულს. მასაც ტანჯავდა ეჭვი, ვითარცა უბრალო მოკვდავს. შემდრკალა კიდეც საშიშროების წინაშე წამით, რაც მას ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასს და მახლობელს ხდის.

არ იქნებოდა სწორი, მწერლისგან მოგვეთხოვა სრული შეუბღალავობა და არ გვეპატიებინა ადამიანის თანმდევი ზოგიერთი სისუსტე, თუ, რა თქმა უნდა, ამ სისუსტეს ქვეყნისთვის და საზოგადოებისთვის მძიმე შედეგები არ მოაქვს. მწერალი, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე ერთხელ არჩეულ გზას პირდაპირ მიჰვება და არსად არ გადაუხვევია, ჩიხში არ მოხვედრილა და უკან არ დაბრუნებულა, არასოდეს დაეჭვებულა საკუთარ თავში, სხვისი რჩევისთვის ყური არ უთხოვებია, ვერაფერს ხეირიანს ვერ დაწერს, რადგან ცხოვრება მისთვის მთლიანად შეუცნობელი დარჩება.

ასეთია სინამდვილე და მწერლის შემოქმედების შეფასებისას ჩვენ ამ სინამდვილიდან უნდა გამოვიდეთ. არც ისაა გამართლებული მისი შემოქმედება ცალკე, დროის გარეშე განვიხილოთ და შევაფასოთ, მით უფრო, ისეთი მეხთატეხებით და წინააღმდეგობებით აღსავსე ხანის გარეშე, როგორიც მე-20 საუკუნე იყო, რომელშიც სიმართლე და სიცრუე საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის გარკვეული და ალბათ ვერც ვერასოდეს გაირკვევა.

რაც შეეხება საბჭოურ სივრცეს, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მასში არ არსებობდა არც ერთი ცოცხალი მწერალი, რომელმაც გაიარა დროის ყველა სარეჯგველა და რაიმე დათმობაზე არ წავიდა. თუ ვინმე ასეთ მწერალზე სადმე ლაპარაკობს და ის განსაკუთრებულ გმირად გამოჰყავს, გამიზნულად ცდილობს სინამდვილის შელამაზებას. არსებობდა მეტ-ნაკლები დათმობა, მაგრამ სრული დაუთმობლობა არ არსებობდა!

(გაგრძელება იძნება)

ერგნეთი – 2 – უკრაინული ტრანზიტის ოსური პრობლემები

უკვე რამდენიმე წელია, რაც ცხინვალი არაღიარებული უკრაინული სეპარატისტული რესპუბლიკებისთვის ოფშორის ფუნქციას ასრულებს, პირველ რიგში ფინანსურ საკითხებში, ანუ ე.წ. ოსური ბანკების მეშვეობით ხდება ანგარიშსწორება რუსეთსა და დონბასს შორის.

რა თქმა უნდა, არავითარი „ოსური ბანკები“ ბუნებაში არ არსებობს და ამ ფინანსურ ორგანიზაციებს მოსკოვი აკონტროლებს. რუსული ბანკები ამ გზით, სანქციების გვერდის ავლით, უკრაინელ სეპარატისტებთან ფინანსურ თანამშრომლობას ახერხებენ.

ყველაფერი გამოდის სუფთად და ლამაზად – რუსული ბანკი თითქოს არაფერ შუაშია, დონბასთან კი მუშაობს ოსური ბანკი, რომელსაც სანქციების საკითხი საერთოდ არ ადარდებს.

ბოლო პერიოდში რუსეთმა დაიწყო ამ სქემის გაფართოება – მაგალითად, რამდენიმე კვირის წინათ გაფორმდა შეთანხმება ყირიმთან, დონეცკთან და ლუგანსკთან ე.წ. „სამხრეთ ოსური საფირმო მაღაზიების გახსნის თაობაზე.

ფორმალურად, ამ ქსელში უნდა გაიყიდოს მხოლოდ ცხინვალში წარმოებული პროდუქცია, თუმცა ეს არის ისეთივე ფიქცია, როგორც სამხრეთ ოსური საბანკო სისტემა – ამ მაღაზიების მეშვეობით არაღიარებულ უკრაინულ რესპუბლიკებში გაიყიდება რუსული პროდუქცია – და ისევ – სანქციების გვერდის ავლით.

რუსი პოლიტოლოგის ალექსანდრ კარავაევის თქმით, ეს უკვე აპრობირებული სქემაა, რომელიც მუშაობს ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ფარგლებშიც.

„მაგალითად, მსგავს სქემაში აქტიურადაა ჩართული ყირგიზეთი. რუსეთში შემოდის ქსოვილები ჩინეთიდან, რუსეთშივე იკერება პროდუქცია, რომელიც ფორმალურად ყირგიზულია. საქმე გვაქვს ჩრდილოვან ეკონომიკასთან. თუ გავითვალისწინებთ ყირიმის და დონბასის მოსახლეობის რაოდენობას და სანქციების სიმკაცრეს, ეს სქემა გაცილებით უფრო მასშტაბურია. თანაც ის ორგანიზებულია სახელმწიფო დონეზე“ – ამბობს ექსპერტი.

მისი თქმით, ამ გზით რუსეთი წყვეტს 2 მნიშვნელოვან ამოცანას – პირველია – დონბასთან პირდაპირი ფინანსური და ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება ისე, რომ ბიზნესი არ დაზარალდეს, დასავლური სანქციების დარღვევის გამო. მეორეა – სამხრეთ ოსეთის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა – ფაქტობრივად, უკრაინული ტრანზიტი დონბასში რუსული პროდუქციის გაყიდვიდან, როგორც შუამავალ მხარეს ოსებს სერიოზულ წილს აძლევს.

„ფაქტობრივად, საქმე გვაქვს ერთგვარ ჩრდილოვან ფრანშიზასთან, რომელსაც რუსეთი გამოუყოფს სამხრეთ ოსეთს. ეს არის დიდი ფულის შოვნის სქემა ოფშორის ფუნქციების შესრულებისთვის. შეიძლება ითქვას, რომ ეს სქემა ერგნეთზე უკეთესია, რადგანაც არ არსებობს არანაირი გადასახადები, ხოლო მთელ ამ სისტემას „კრიშავს“ რუსული სახელმწიფო. წესით, იმათთვის, ვინც აქტიურად მუშაობდა ერგნეთის ტრანზიტზე, ეს თემა უნდა იყოს გაცილებით უფრო მიმზიდველი და საინტერესო,“ – ამბობს კარავაევი.

თუმცა, მისი თქმით, ამ ინიციატივას არ გამოუწვევია ცხინვალში განსაკუთრებით დიდი ინტერესი და ეკონომიკური გამოცოცხლება.

ადგილობრივი ექსპერტების აზრით, ეს უცნაური პასიურობა გამოწვეულია იმით, რომ ოსები მთლიანად არიან გადართულები რუსული ფინანსური დახმარების ათვისებაზე – ფული პირდაპირ მოდის ცხინვალში, არაა საჭირო საქმის წარმოება, ლოგისტიკის აწყობა, პარტნიორებთან ურთიერთობის აწყობა, ანუ ის მინიმალური შრომითი დანახარჯები, რასაც მოითხოვს ეს მარტივი სქემა.

ადგილობრივ ელიტას არ სჭირდება არანაირი ბიზნესი – რუსეთი ისედაც ავსებს როგორც „სამხრეთ ოსეთის“, ასევე მათ პირად ბიუჯეტს. ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ არავინ არ ცდილობს მეწარმეების დაინტერესებას და მათთვის ამ მშვენიერი და მარტივი სქემის უპირატესობის ახსნას. ამის გარეშე კი რუსული „ფრანშიზის“ სრულფასოვანი ათვისება რთულია.

ოსი ბლოგერის ალან პარასტაევის თქმით, ერგნეთის ტრანზიტის სქემა იყო ფინანსურად გაცილებით ნაკლებად მომგებიანი, ვიდრე უკრაინული, მაგრამ სამაგიეროდ – ბევრად უფრო გამჭვირვალე და გასაგები რიგითი ადამიანებისთვის.

„მოვაჭრეები იღებდნენ სესხებს და რისკავდნენ, თუმცა, ზუსტად იცოდნენ – აიღებენ გარკვეულ თანხას, იყიდიან რუსეთში ბენზინს, მერე გაყიდიან მას ერგნეთში და მიიღებენ მოგებას. გასაგები იყო, როგორ მუშაობს სისტემა. უკრაინულ ტრანზიტთან დაკავშირებით ყველაფერი ბევრად უფრო რთულია, იმის მიუხედავად, რომ ხელმოწერილია უამრავი ხელშეკრულება სოფლის მეურნეობაში, წარმოებაში, ფინანსურ სექტორსა და ა.შ., თანაც საუბარია დიდ მოგებაზე, რომელთან შედარებითაც ერგნეთი არაფერია. თუმცა, ადამიანების ეშინიათ, ისინი არ ენდობიან სახელმწიფოს. არავინ არაა დარწმუნებული, რომ ხვალ მთავრობა არ მიიღებს სხვა გადაწყვეტილებას და მთელი ეს სქემები არ დაიხურება. ასე უკვე იყო, თანაც, ხშირად“ – განაცხადა პარასტაევმა.

შედეგად, ეს ინიციატივები სადღეისოდ მინიმალურ დონეზე მუშაობს – მასში ჩართვა შეუძლიათ მხოლოდ გავლენიან ადამიანებს, რომლებსაც ეს სქემა ნაკლებად აინტერესებთ, ხოლო რიგით მეწარმეებს აშინებთ ზემოთ ხსენებული სირთულეები.

შედარებით აქტიურია ეს სქემა ფინანსურ სექტორში, სადაც მუშაობენ პირდაპირ რუსული ბანკები და ადგილობრივი ინიციატივა საერთოდ არაა საჭირო. თუმცა, ყველაფერი დანარჩენი ჯერ თითქმის არაა ათვისებული.

EKHOKAVKAZA.COM

დიდი ბრიტანეთის პარლამენტმა ბრექსიტის გეგმას მხარი არ დაუჭირა

დიდი ბრიტანეთის პარლამენტმა ბრექსიტის შეთანხმებას მხარი არ დაუჭირა. კანონმდებლებმა პრემიერ-მინისტრ ტერეზა მეის გეგმა დიდი უმრავლესობით, 432 ხმით 202-ის წინააღმდეგ უარყვეს.

გეგმა ევროკავშირიდან ბრიტანეთის გასვლის პირობებს შეეხებოდა, რომელზეც ბრიტანეთის მთავრობამ და ევროკავშირმა ნოემბერში მოილაპარაკეს.

კანონით ტერეზა მეის კიდევ სამი დღე აქვს იმისთვის, რომ პარლამენტს ბრექსიტის ახალი სამოქმედო გეგმა შესთავაზოს. ბრიტანეთმა ბლოკი 29 მარტს უნდა დატოვოს. ექსპერტების განცხადებით, ამ გეგმისა და გარკვეული შეთანხმების გარეშე ბრიტანეთის ეკონომიკას ქაოსი ემუქრება. ბრიტანეთის ოპოზიციური ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა ჯერემი კორბინმა პარლამენტს მიმართა წინადადებით გაერთიანებული სამეფოს მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ. ამ საკითხზე კენჭისყრა ოთხშაბათ საღამოს გაიმართება. პრემიერ-მინისტრ ტერეზა მეის გადაყენება ემუქრება.

ევროკავშირის ლიდერებმა ბრიტანეთის პარლამენტში კენჭისყრის შედეგებს სამწუხარო უწოდეს და მოუწოდეს ბრიტანეთის მთავრობას, ბრექსიტის შესახებ მომდევნო ნაბიჯები, რაც შეიძლება მალე განმარტოს.

„უკრაინის ეკლესიის ჩამოყალიბება პოლიტიკური პროექტია, ის მართლმადიდებლური კანონების უხეშ დარღვევას წარმოადგენს“

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა სერბულ მედიასთან საუბრისას კომენტარი უკრაინის ეკლესიასთან დაკავშირებით გააკეთა და განაცხადა, რომ „უკრაინის ეკლესიის ლეგალიზება მართლმადიდებლური კანონების უხეშ დარღვევას წარმოადგენს“. პუტინის თქმით, კიევს არ შეიძლება არ ესმოდეს, რომ მორწმუნეების უცხო ტაძარში შერეკვას, სერიოზული შედეგები მოჰყვება.



„უკრაინის ხელისუფლება მზადაა მსხვერპლად კონფესიათა შეთანხმება გაიღოს, იმისთვის რომ მოქმედი პრეზიდენტის წინასაარჩევნო კამპანია ჩაატაროს, ეს კამპანია აგებულია მტრების ძიებაზე და ხელისუფლების ნებისმიერი გზით შენარჩუნებაზე, ამ ყველაფერს ხედავენ მართლმადიდებელ სამყაროში“, – განაცხადა პუტინმა.

პუტინის თქმით, ახალი ეკლესია წარმოადგენს პოლიტიკურ პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს უკრაინელი და რუსი ხალხის გაყოფას: **„შემთხვევითი არ არის, რომ კიევში უკვე განაცხადეს მოსკოვისგან საბოლოო დამოუკიდებლობის მოპოვებაზე.“** – განაცხადა პუტინმა, მისი თქმით, მოსკოვი არ აპირებს ჩაერიოს მეზობელი ქვეყნის რელიგიურ პროცესებში.

აფხაზეთში შეიარაღებული თავდასხმები გრძელდება

რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში, გაგრის რაიონის სოფელ ლიძავაში 15 იანვარს ბიზნესმენის მანქანა ააფეთქეს. ადგილობრივი ე.წ სამართალდამცავების ინფორმაციით, პაკეტში მოთავსებული ასაფეთქებელი მოწყობილობა საქარე მინასა და „კაპოტს“ შორის იყო მოთავსებული. მძღოლმა გადაწყვიტა პაკეტი თავად ამოეძრო, რა დროსაც აფეთქება მოხდა.

აფეთქების შედეგად მოსკოველმა ბიზნესმენმა მიხაილ ევალენკომ მძიმე დაზიანებები მიიღო. ის ოჯახმა სოჭის საავადმყოფოში გადაიყვანა, სადაც რამდენიმე რთული ოპერაცია გაუკეთდა, ამოულეს ორივე თვალი. ის ამ დროისთვის უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იმყოფება, ოჯახი მის გადაყვანას მოსკოვში გეგმავს. საქმე მკვლელობის მცდელობის მუხლითაა აღძრული. საოკუპაციო რეჟიმის მედიის ინფორმაციით ევალენკო აფხაზეთში უკვე რამდენიმე წელია ცხოვრობს და ბიზნესითაა დაკავებული. რამდენიმე დღის წინათ რუსეთის მოქალაქე მოკლეს ოჩამჩირის რაიონის, სოფელ ტამიშშიც. მიხაილ მასლოვს თავს ორი შეიარაღებული ნიღბიანი დაესხა. მასლოვი მიღებული ჭრილობებისგან დაიღუპა.

პოლიტოლოგები სერბეთში „მაიდნის“ პროცესებს ელოდებიან

სერბეთში **არ წყდება მასობრივი გამოსვლები. დემონსტრანტები მოითხოვენ ხელისუფლების გადადგომას, კორუფციის ალაგმვას, საზოგადოებრივი ტელევიზიის ხელმძღვანელობის შეცვლას, სიტყვის თავისუფლებასა და რიგგარეშე თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას.**

ხელისუფლება დათმობებზე წასვლას არ აპირებს. სერბეთის პრეზიდენტმა ალექსანდრ ვუჩიჩმა განაცხადა, რომ ოპოზიციისთვის რევერანსების გაკეთებას არ აპირებს და მათ ქედს არ მოუხრის, ქუჩაში 5 მილიონი ადამიანიც რომ გამოვიდეს. ამგვარი ხისტი დამოკიდებულებისა და ქუჩის პროტესტების ზრდის გამო, რომელიც ყოველთვის პოლიციის მიერ ძალის გადაჭარბებული გამოყენებით მთავრდება, პოლიტოლოგები ქვეყანაში უკრაინული „მაიდნის“ მსგავს მოვლენებს ელოდებიან.

◎ ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲘ

ᲪᲝᲚᲛᲐ ზურიკოს ამ დილასაც შეუღრინა: ამხელა კაცს როგორ არ მოგგეზრდა ლოგინში კოტრიალი, ცოტა გატოკდი, თორემ ხომ ხედავ, ორსული დედაკაცივით მუცელი თავზე მოგექცა.

– გავტოკდე, თორემ მეც ათასდოლარიანი სამუშაო მელოდება, – თავის მხრივ, შეუღრინა ზურიკომაც, – ვთქვათ, უთენია წამოვხტი, სად წავიდე?

– სადა და მოუსავლეთში, სულაც კუს ტბაზე ადი, მთელი პარლამენტი მაგ ტბაში ცურაობს და იქნებ შენც რაღაცნაირად მიუცურდე ამ ტანჯულ ცხოვრებას.

რაღას იზამდა, ზურიკომ ბოტასები მოძებნა, „ადიდასი“ გადაიცვა და კუს ტბისკენ კუს ნაბიჯით გასწია. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, გუნება გადაეწმინდა, ტბაზეც ავიდა და, ცოლისგან განაწყენების მიუხედავად, კიდევაც ესიამოვნა.

– ვა, ეგ ვიღაცაა, რა მაგრად ყვინთავს, მოცურავეა? – ჰკითხა ზურიკომ ტბის ნაპირზე ჩაცუცქულ სპორტკომპლექსის მუშაკს.

– არა, დეპუტატია.

– სად ისწავლა ასეთი ყვინთვა?

– სადა და პარლამენტში, დილით აქ ყვინთავს, საღამოთი – პარლამენტში.

– პოლიტიკაში? – დაინტერესდა ზურიკო.

– პოლიტიკაში ხომ ყვინთავს და ყვინთავს.

– თუ იცი, რომელ პარტიაშია?

– რას გაიგებ, ყველა პარტია გამოიცვალა, ბოლოს „ნაციონალებში“ იყო, ახლა მგონი „ოცნებაში“ გადავიდა.

– მოდი, მეც ვიბანავებ, – თქვა ზურიკომ და ბოტასების გახდას შეუდგა.

– არ გამოვა, – გააფრთხილა ჩაცუცქულმა მუშაკმა.

– რატომ არ გამოვა?

– ვიდრე დეპუტატი ცურვას არ მორჩება, წყალში ვერ შეხვალ.

– რატომ, შე კაცო, – გაიკვირვა ზურიკომ, – ტბა არი, ტაშტი ხომ არა, რომ მორიგეობით ვიბანაოთ?

– ეგ დეპუტატის მცველებს უნდა ჰკითხო, ნაპირზე რომ ელოდებიან.

– მაგათ ვინ ჰკითხავს?

– ვერ გეტყვი, მაგრამ დაუკითხავად თუ შეხვალ, გესვრიან.

– რისი ეშინიათ?

– რა ვიცი, აბა, დეპუტატები ხშირად ერთმანეთს დედმამის სულს უტრიალებენ და... ხომ შეიძლება, რომელიღაც განაწყენებულმა „ლიმონკა“ ესროლოს?

– კარგი, – დაყაბულდა ზურიკო, – მაშინ ორძელზე მაინც ვივარჯიშებ.

– ორძელზე, ხომ ხედავ, ბიზნესმენი ვარჯიშობს.

– გვერდით რომ ბიჭები დგანან, რიგს უცდიან?

– არა, ბიზნესმენის მცველები არიან.

– ვისგან იცავენ?

– გამტაცებლებისგან.

– კარგი, თუ ძმა ხარ, ახლა სადღა გაიტაცებენ, სააკაშვილის რეჟიმი რა ხანია, დამხობილია, პანკისის ხეობა კი – კრიმინალებისგან გაწმენდილი.

– ეჰ, რას გაიგებ, ახლა თურმე გატაცებული ბიზნესმენები მოსკოვზე გავლით პირდაპირ სირიაში გადაჰყავთ(!)

– მაშინ ვირბენ მაინც, – ხელი ჩაიქნია იმედგაცრუებულმა ზურიკომ.

– ირბინე, ოღონდ, აი, იმ ჯიგიტს მოერიდე.

– ეგ ვინღაა?

– ვაკის მაჟორიტარია.

– უჰ, როგორ გასუქებულია, სწორედ მაგასთან მაქვს საქმე. რამდენი წელიწადია, დავდევ და ვერ დავიჭირე. – ესა თქვა ზურიკომ და ძუნძულით გამოეკიდა მაჟორიტარს. ის იყო მიუახლოვდა, რომ ბუჩქებიდან სამი შეიარაღებული კაცი გადმოხტა.

– სდექ! – იყვირეს მათ.

– რა მოხდა? – იკითხა შეცბუნებულმა ზურიკომ.

– მეტად აღარ მიუახლოვდეთ, თორემ გესვრით.

– რა სროლა აგიტყდათ, ხალხო, ჩემი დეპუტატია, რაღაც მინდა ვუთხრა.

– შენი კი არა, ხალხის დეპუტატია, – შეუსწორეს მათ.

– დამეხმარე, შენთან სალაპარაკო მაქვს, – შეეხვეწა ზურიკო მაჟორიტარს.

– რა ვქნა, სული მიკაწკაწებს ამომრჩევლებთან შესახვედრად, მაგრამ ხომ ხედავ, დაცვა ნებას არ მაძლევს.

– მაშინ, პარლამენტში მოვალ.

– იქ სულ არ მცალია, დღედაღამ კანონმთხზველობაში ვართ.

– აბა, როდის შეგხვდე?

– აი, მალე წინასაარჩევნო კამპანია დაიწყება და მაშინ რამდენიც გინდა, იმდენი ვილაპარაკოთ.

ზურიკო შინ დაღვრემილი დაბრუნდა.

– ცუდად არის საქმე, – აუწყა მეუღლეს, – თუ პირადი დაცვა არ ავიყვანე, კუს ტბაზე, შეიძლება, ზოგი ჩვენი დარდუბალა დეპუტატის მაგიერ, მე გამაგორონ...

ᲝᲗᲐᲠ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

◎ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ

„ᲓᲐᲠᲘᲡᲞᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲭᲘᲠᲘ“ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი (სამხატვრო ხელმძღვანელი – **ირინე ლომინაძე**) 50-ე თეატრალური სეზონის მორიგი პრემიერისთვის ემზადება – 25 იანვარს 19 საათზე წარმოდგენილი იქნება ცნობილი ქართველი კომპოზიტორის **გიორგი ჩლაიძის** ოპერა „დარისპანის გასაჭირი“ (ახალი ვერსია; ვარლამ ნიკოლაძის ლიბრეტო, დავით კლდიაშვილის ერთსახელიანი პიესის მიხედვით). სპექტაკლი მოამზადა დამდგმელმა შემოქმედებითმა ჯგუფმა დირიჟორ **ლევან ჯაგაევის**, რეჟისორ **მაია გაჩეჩილაძის**, მხატვარ **თეო კუხიანიძის**, ქორმაისტერ **ირინე ლომინაძის** შემადგენლობით.

საგულისხმოა, რომ გიორგი ჩლაიძის ოპერის „დარისპანის გასაჭირის“ მსოფლიო პრემიერა 1977 წელს სწორედ ქუთაისის ოპერის თეატრში შედგა და ეს იყო თეატრის პირველი საკუთარი ქმნილება, რომელიც „ქუთაისის საოპერო სცენაზე დაიბადა კომპოზიტორისა და თეატრის შემოქმედებითი თანამეგობრობის შედეგად“.

ოპერის ახალი ვერსია, რომელიც ამჯერად იქნება წარმოდგენილი, გიორგი ჩლაიძემ შექმნა 2010 წელს. ოპერის პარტიტურა მნიშვნელოვნად გადახალისდა, დაემატა ქალთა გუნდი, დარისპანის ორი არიისთვის – „დარისპანის ჩივილი“ და „დარისპანის მოთქმა“ – დაიწერა ახალი მუსიკალური მასალა, მიმიკური პერსონაჟი ოსიკო კომპოზიტორმა გაიაზრა ტენორად, რომელსაც საკუთარი სრულფასოვანი სასიმღერო პარტია აქვს.

საპრემიერო წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს ქუთაისის ოპერის თეატრის გუნდი, ორკესტრი, მთავარ პარტიებს შეასრულებენ თეატრის სოლისტები: **ლაშა თითბერიძე** (დარისპანი), **ნუცა ზაქაიძე** (მართა), **ნათია სტეფანიშვილი** (პელაგია), **ემილ ჩარგაზია** (ონისიმე), **მარიეტა მაჩალაძე** (კაროჟნა), **სოფიო ბერიშვილი** (ნატალია), **მიხეილ ქებაძე** (ოსიკო).

„დარისპანის გასაჭირის“ დადგმა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

მოისმინეთ, იხილეთ გიორგი ჩლაიძის ოპერა „დარისპანის გასაჭირი“ და ისიამოვნეთ.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲔᲥᲐᲣᲠᲘ



„ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ“ ᲛᲔᲢᲠᲝᲓᲐᲜ ᲚᲝᲛᲔᲑᲘ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲭᲠᲐ

„ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ“ მეტროსადგურის დარბაზში, სვეტებზე მიმაგრებული ლომები ჩამოხსნილია. ამის შესახებ ინფორმაცია სოციალურ ქსელში ვრცელდება.

„ეს არის თბილისის მეტროპოლიტენი, სადგური „რუსთაველი“, აი, აქ იჯდა ოქროსფერი, სავარაუდოდ ბრინჯაოს ლომები, საუკეთესო ნახელავი, როგორც მეგობარი მატყობინებს ამჟამად გამქრალია, იმედია დროებით, იმედია ის არ განმეორდება, რაც ძველად თბილისის ყველა მეტროსადგურში მოხდა, უნიკალური სანათები რომ დაიტაცეს“, – წერს ხელოვნების სასახლის დირექტორი გიორგი კალანდია. მერიის ინფორმაციით, ლომების ნაკეთობები, რომელიც „რუსთაველის“ მეტროს სვეტებზე იყო მიმაგრებული, გაწმენდითი სამუშაოების ჩასატარებლად ჩამოიხსნა და თავის ადგილს სავარაუდოდ, კვირის ბოლოს დაუბრუნდება.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚ-ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲒᲣᲓᲐᲣᲠᲨᲘ ᲤᲠᲔᲜᲔᲑᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ

ᲒᲣᲓᲐᲣᲠᲘᲡ საკურორტო ზონაში ოპერირებას კიდევ ერთი უცხოური კომპანია განახორციელებს.ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ კომპანია „HTM Helicopter Travel Munich GmbH“-ზე ფრენების განხორციელების ნებართვა 15 იანვარს გასცა.

სააგენტოში შემოტანილი განაცხადის მიხედვით, გერმანულ-ავსტრიული კომპანია „HTM Helicopter Travel Munich GmbH“, მიმდინარე წლის 31 იანვრიდან 18 მარტამდე, AS 350 B3-ის ტიპის თანამედროვე ვერტმფრენით, გუდაურში „Heli-skiing“ ტურებს მოემსახურება, რაც მოთხილამურეებისა და სნოუბორდისტებისაგან წინასწარ დაკომპლექტებული ტურისტული ჯგუფების ვერტმფრენიდან გაუკვალავ თოვლში გადასხმას და მათთვის თხილამურებით სრიალისა და სნოუბორდინგის ორგანიზებას გულისხმობს.

ფრენები დაიშვება ხელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში და ვიზუალური ფრენის წესებით (VFR). „HTM Helicopter Travel Munich GmbH“ ვერტმფრენების მეორე უცხოური კომპანიაა, რომელიც წელს გუდაურის საკურორტო ზონაში ფრენებს განახორციელებს. ავსტრიული „Wucher Helikopter Gmbh“ ე.წ. „Heli-skiing“ ტურებს 15 იანვრიდან 15 აპრილამდე გუდაურის, მესტიისა და გოდერძის საკურორტო ზონებში მოემსახურება. აქვე აღვნიშნავთ, რომ ქართული კომპანიებისთვის ქვეყნის ტერიტორიაზე იგივე საქმიანობის განხორციელება დაშვებულია გამარტივებული პირობებით – ოპერირების დაწყებამდე ფრენის გეგმის (Flight Plan) მიწოდებით შპს „საქაერონავიგაციისთვის“.

◎ ჩოგბურთი

სტეფანოდან სტეფანოსამდე

საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა ავსტრალიის ღია პირველობის 1/32-ფინალში იტალიელი სტეფანო ტრავალია უმძიმეს ბრძოლაში 3:6, 6:3, 3:6, 6:4, 6:3 დაამარცხა. მომდევნო ეტაპზე ნიკას მეტოქე ბერძენი სტეფანოს ციციპასი იქნება, რომელიც მსოფლიო რეიტინგში მე-15 ადგილზეა. ასე რომ, ბასილაშვილს არანაკლებ რთული შეხვედრა ელის.

ტრავალიასთან მატჩში, გადამწყვეტ მეხუთე სეტში 4:3-ზე ქართველის სასარგებლოდ, ბასილაშვილმა ბრეიკი შეასრულა და შეხვედრის ბედიც გადაწყვიტა. ნიკამ 9 ეისი და 12 ორმაგი შეცდომა დაუშვა. ჩვენებურმა 13 შესაძლებლობიდან 7 ბრეიკი შეასრულა, ხოლო იტალიელმა — 10-დან ექვსი.

ბასილაშვილმა ამ გამარჯვებით შარშან მოპოვებული 90 სარეიტინგო ქულა დაიცვა და 105 000 ამერიკული დოლარი გამოიმუშავა. ამ დროისთვის „ლაივ რეიტინგში“ იგი მე-18 ნომერია.

ნიკოლოზი და ციციპასი ხვალ ერთმანეთს კარიერაში პირველად შეხვდებიან. სტეფანოსმა თავის მხრივ ვიქტორ ტროიცკის 6:3, 2:6, 6:2, 7:5 სძლია. 20 წლის ციციპასს კარიერაში ATP-ის ორი, ერთი ჩელენჯერის და სამი ITF-ის ტურნირი აქვს მოგებული.

გიორგი ზუთაძე

◎ ლეგიონერი

13 ქულაც, გამარჯვებაც

ევროთასის G ჯგუფის მესამე ტურში მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა გიორგი შერმადინის „უნიკახამ“, რომელმაც საკუთარ დარბაზში ფრანგული „ლიმოჟი“ 79:72 დაამარცხა.

ესპანელები მთელი თამაშის განმავლობაში ფლობდნენ სათამაშო უპირატესობას და წარმატების მოპოვებაც არ გასჭირვებიათ. საგულისხმოა, რომ მალაგელთა ამ მოგებაში ქართველმა ცენტრმა სოლიდური წვლილი შეიტანა.

შერმადინი სასტარტო ხუთეულში იყო და პარკეტზე 17 წუთი გაატარა. ხსენებულ დროში გიორგიმ 13 ქულა, 5 მოხსნა და 1 პასი მიითვალა. ქართველმა კალათბურთელმა 6-დან 5 ორქულიანი და 3-დან 3 საჯარიმო ჩააგდო, ორჯერ ბურთი მეტოქის ფარზე მოხსნა, ორჯერ დაჯარიმდა და ერთხელ დაუფარეს.

შერმადინის მარგი ქმედების კოეფიციენტმა 17 შეადგინა და ამ მაჩვენებლით მხოლოდ თანაგუნდელ ადამ ვაშინსკის ჩამორჩა. აღსანიშნავია, რომ დაგროვილი ქულებითაც გიორგი მხოლოდ ვაშინსკის უკან აღმოჩნდა, რომელმაც 16 ქულა ჩააგდო. „უნიკახას“ სამი ტურის შემდეგ 2 მოგების წილ 1 წაგება აქვს და მეორე ადგილზეა, მომდევნო შეხვედრას კი 23 იანვარს, ისევ „ლიმოჟთან“, ოღონდ სტუმრად გამართავს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ სუმო

ტოჩინოშინს ძალიან უჭირს

ძართველი სუმოისტი ლევან გორგაძე, იგივე ტოჩინოშინი, 2019 წლის პირველ სუპერტურნირზე წარუმატებელ ასპარეზობას განაგრძობს. ტრავმირებულ ჩვენებურს სრული დატვირთვით გარჯა უჭირს, ჰაცუ ბაშოზე მიჯრით მე-4 ორთაბრძოლა წააგო და გამორიცხული არაა, შეჯიბრიდან მოხსნის გადაწყვეტილებაც მიიღოს.

გუშინ დასავლეთის ოძეკის წოდების მქონე ქართველი სეკიტორი დასავლეთის სეკივაკე ტამავაშის გაეჯიბრა და 34 წლის მონღოლთან ოშიდაშით წააგო, არადა, ის აქამდე 16-ჯერ ჰყავდა დამარცხებული. თუკი მანამდე არაფერი შეიცვალა, ტოჩინოშინი დღეს დასავლეთის მე-3 მაეგაშირა შოჰოძანს გაეჯიბრება, რომელსაც ურთიერთშეხვედრებში 14:6-ს უგებს. საინტერესოა, რომ, ლევანის დარად, ოთხივე გასული შეხვედრა წააგო ოძეკმა გოეიდომ, ფავორიტებიდან კი ქულათა მაქსიმუმი მხოლოდ იოკოძუნა ჰაკუჰოს აქვს.

ამასობაში პროფესიული კარიერის დასრულების შესახებ განცხადება გააკეთა იოკოძუნა კისენოსატომ. 72-ე დიდმა ჩემპიონმა ვერაფრით დაიბრუნა ის კონდიციები, რომელმაც იერარქიის უმაღლეს დონეზე აიყვანა.

2017 წლის მარტში კისენოსატო იმპერატორის თასს მეორედ დაეუფლა, მას შემდეგ კი ტრავმებმა გატანჯა და ჯამში მხოლოდ 23 მოგება იზეიმა.

გასული წლის ნოემბერში 32 წლის სეკიტორი კიუშიუ ბაშოზე 4-ჯერ დამარცხდა და ტურნირიდან მოხსნის გადაწყვეტილება მიიღო.

2019 წლის პირველ სუპერტურნირზე იაპონელმა იოკოძუნამ ზედიზედ 3 მარცხი განიცადა და რიკიშის კარიერის დასრულება არჩია.

იუტაკა ჰაგივარა პროფესიულ სუმოში რჩება და არაისოს მეტსახელით ტაგონოურას სკოლაში უმცროს მწვრთნელ-აღმზრდელად იმუშავებს.

რანგით მე-2 დივიზიონ ჯურიოში ისევ თანაბარ ბალანსზე (2 მოგება, 2 წაგება) გავიდა გაგამარუს შიკონათი ცნობილი თეიმურაზ ჯულელი. ქართველი გოლიათი, რომელიც მე-14 განთესვით ირჯება, გუშინ მე-11 ნომერ ცურუგიშოსთან იორიკირით დამარცხდა. დღეს გაგამარუ მე-12 რეიტინგის მქონე ტაკეკაძეს გაეჯიბრება, რომელსაც ურთიერთშეხვედრებში 15:6-ს ამარცხებს.

კობა კობახიძე

◎ მეორე დედოფალი

17 იანვარი ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონის დაბადების დღეა

ძართულ საჭადრაკო სკოლას მსოფლიო ჭადრაკის განვითარებაში გამორჩეული ადგილი უკავია. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ქართველმა ქალებმა ჭადრაკში მთელი ეპოქა შექმნეს. ამის დასტურად 1975 წელს ფიდეს მაშინდელი გენერალური მდივნის, ჰოლანდიელი ინეკა ბაკერის გულწრფელ სიტყვებს გავიხსენებ: „საქართველო რომ არა, ქალთა ჭადრაკის სამშობლო არსად იქნებოდა. ქართველი ქალების წვლილი ბრძნული თამაშის განვითარებაში განუზომელია. მინდა მადლობა ვუთხრა საქართველოს, რომ თავისი საუცხოო ასულები აჩუქა ჭადრაკს“. ეს ითქვა მაშინ, როცა ჯერ კიდევ არავინ იცოდა, რომ სათაყვანებელ ქალბატონს ნონა გაფრინდაშვილს ტახტზე მისი თანამემამულე, 17 წლის მაია ჩიბურდანიძე შეცვლიდა.

1962 წლიდან 1991 წლამდე ჭადრაკის დედოფლის ტახტმა და დაფნის გვირგვინმა საქართველოში დაიდო ბინა და ამ უდიდესი წარმატების შემოქმედი გახლდათ ორი ქართველი ქალბატონი — ნონა გაფრინდაშვილი და მაია ჩიბურდანიძე.

70-იანი წლების დასაწყისში საქართველოში გამოჩნდა ნიჭიერ მოჭადრაკეთა ახალი თაობა — თანდათან დაწინაურდნენ მაია ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი და ნინო გურიელი. განსაკუთრებით გამოირჩეოდა მაია ჩიბურდანიძე, რომლისთვის 1973 წელი ბენეფისად იქცა, 12 წლის გოგონათი დაინტერესდა მთელი საჭადრაკო სამყარო და მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ტიგრან პეტროსიანი საგანგებოდ თბილისშიც კი ჩამოვიდა მაიას გასაცნობად. ვერავინ იფიქრებდა, რომ სწორედ ეს გოგონა ჭადრაკის მაშინდელ დედოფალს ნონა გაფრინდაშვილს დაათმობინებდა საჩემპიონო ტიტულს. 1975 წლიდან მაია ჩიბურდანიძე დიდი ენთუზმიაზმით ჩაებრძოლა ბრძოლაში მსოფლიო ჩემპიონთან შეხვედრის უფლებისათვის, წარმატებით გაიარა ყველა ეტაპი და ნონა გაფრინდაშვილის პირისპირ დადგა! უამრავი ხალხი დაესწრო ამ მართლაც საუკუნის მატჩის გახსნას ბიჭვინთაში. მატჩზე, რომელიც საზეიმოდ გაიხსნა 1978 წლის 18 აგვისტოს, საგანგებოდ ჩავიდა ფიდეს მაშინდელი პრეზიდენტი, ჰოლანდიელი მაქს ეივე. და აი, მსოფლიო გააოცა უნიკალურმა მოვლენამ მსოფლიო ჭადრაკის ისტორიაში: 17 წლის მაია ჩიბურდანიძე მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ამის შემდეგ მაიამ საჩემპიონო ტიტული 4-ჯერ შეინარჩუნა. 1981 წელს ბათუმში ნანა ალექსანდრიას სძლია, 1982 წელს ვოლგოგრადში ირინა ლევიტინასთან გამარჯვებით მესამედ მოიპოვა ჩემპიონის ტიტული, 1986 წელს სოფიასა და ბორჯომში ელენა ახმილოვსკაია დაამარცხა, ხოლო 1988 წელს თელავში ნანა იოსელიანს მოუგო და ხუთგზის ჩემიონი გახდა. 1991 წელს მაია ჩიბურდანიძემ ყველასათვის უცნობ ჩინელ სიუ ჟუნთან დათმო ჩემპიონის ტიტული.

* * *

2018 წლის 23 სექტემბრიდან 6 ოქტომბრის ჩათვლით ბათუმმა მსოფლიოს 43-ე საჭადრაკო ოლიმპიადას უმასპინძლა. სწორედ ამ ოლიმპიადის დაწყების წინ ყვარელში, ილიას ტბაზე განთავსებულ საჭადრაკო კლუბში ორმა სახელოვანმა მსოფლიო ჩემპიონმა სამი საჩვენებელი პარტია ითამაშა. თითო გამარჯვება და ერთიც ყაიმი... მატჩმა, კანონზომიერად, გამარჯვებული ვერ გამოავლინა.

მსოფლიო ჭადრაკის მრავალსაუკუნოვანი ისტორიისთვის 29 წელი, როგორც იტყვიან, ზღვაში წვეთია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული 90 წელს ითვლის, მაშინ ქართველი მოჭადრაკე ქალების 29-წლიანი ჩემპიონობა შთამბეჭდავად ჟღერს და ვთვლი, რომ მათი დედოფლობის პერიოდს ჭეშმარიტად საშვილიშვილო ღირებულება აქვს. 2019 წლის 17 იანვარს ღირსეულ ქალბატონს მაია ჩიბურდანიძეს დაბადებიდან 58 წელი უსრულდება. მინდა ვუსურვო მას ჯანმრთელობა, დიდხანს სიცოცხლე, ოჯახური ბედნიერება და ყოველივე საუკეთესო ქართული სპორტის და მთელი კულტურული ფენომენის ასე წარმოჩენისთვის.

ბეჟან ჩხეიძე,
ზესტაფონიდან.

◎ ინტერნეტიდან

ნაკრების წარმატების სჯერა

ორიგინალური გარეგნობის ინგლისელი მოდელი და მსახიობი ლილი კოული მის მოგვარე ვეტერან ფეხბურთელს ეშლი კოულს, მართალია, პირდაპირ არ ენათესავება, მაგრამ ხშირად ამბობს, რომ ფეხბურთი მას ეშლიზე არანაკლებ უყვარს და მშობლიურ ნაკრებზეც შესტკივა გული.

ბოლო დროს გვარიანად მოძლიერებული ინგლისის საფეხბურთო ნაკრები, მრავალი თანამემამულის მსგავსად, ლილისაც მომავლის იმედებს უსახავს. გოგონას საყვარელი ფეხბურთელიც ჰყავს და ეს, რა გასაკვირია, რომ მთელი ინგლისის იმედი — ჰარი კიუელი გახლავთ.

როსტომ რაჭველიშვილი

მატარებელი – რუსთაველების „მაშველი რგოლი“

რუსთავის მერია თბილისისკენ მოძრავი მიკროავტობუსების ალტერნატიული ტრანსპორტის ძიებაშია მას შემდეგ, რაც კომპანია „ინტერტრანსის“ მიკროავტობუსების მძღოლებმა დეკემბრის ბოლოს მგზავრობა 1,5 ლარიდან 2 ლარამდე გააძვირეს, საპროტესტო აქციისა და მერიის მოთხოვნის შემდეგ კი ძველი ფასის შენარჩუნებაზე მხოლოდ თებერვლის დასაწყისამდე დათანხმდნენ.

რუსთავის მერია ქალაქის მოსახლეობას მიკროავტობუსებით მგზავრობის ალტერნატივად სთავაზობს გარდაბანი-რუსთავი-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალზე მოძრავი მატარებლით მგზავრობას. 12 იანვარს ქალაქის მერმა **ირაკლი ტაბაღუამ** რუსთაველებსა და მედიის წარმომადგენლებს რკინიგზის სადგურში მისვლა და ერთად მგზავრობა შესთავაზა. გამგზავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე, რადიო „თავისუფლებასთან“ საუბრისას, ირაკლი ტაბაღუამ „საქართველოს რკინიგზის“ მიმართ ერთგვარი საყვედური გამოთქვა: **ადამიანები მგზავრობენ რკინიგზის საშუალებით, ალტერნატიული ტრანსპორტით, და შეიძლება ინფრასტრუქტურის, თავიდან თუნდაც მარტო სადგურის, კომფორტულად მოეწყობა“**.

რუსთავის მერის მოწოდებას მოქალაქეთა ნაწილი გამოეხმაურა. რკინიგზის დანგრეულ ბაქანზე მატარებელს ჩვეულებრივზე მეტი მგზავრი ელოდებოდა. მათ შორის იყო მზია მანძულაშვილი, რომელიც თბილისში თითქმის ყოველდღე მგზავრობს ამ იაფი და შედარებით კომფორტული ტრანსპორტით. მისი თქმით, ცუდია, რომ მატარებელი რუსთავიდან დღეში მხოლოდ ერთხელ გადის და თბილისიდანაც ერთხელ ბრუნდება: **„საჭიროა მატარებლის დამატებითი რეისი. ეს თუ არ შეცვალეს, არაფერი გამოვა. ზოგი მგზავრი 9 საათზე იწყებს მუშაობას, ზოგი 10 საათზე...კიდევ ერთი სექცია აუცილებელია დღისითაც და საღამოსაც. თბილისიდან საღამოს შვიდ საათზე გამოდის, სტუდენტმა რა უნდა აკეთოს ამ დრომდე?“**

ხუთვაგონიანი მატარებელი, რომელიც გარდაბნიდან თბილისისკენ დღეში ერთხელ დადის, რუსთავის ბაქანზე დილის ცხრის ნახევრისთვის 5 წუთით ჩერდება და თბილისის ცენტრალურ რკინიგზის სადგურში დაახლოებით 40 წუთში ჩადის. მგზავრობის ღირებულება 50 თეთრია. თბილისიდან რუსთავისა და გარდაბნისკენ მატარებელი საღამოს შვიდ საათზე გადის. რუსთაველი ბადრი მესხიშვილი ყურადღებას ქალაქის რკინიგზის სადგურის სავალალო მდგომარეობაზე ამახვილებს. მისი თქმით, სადგური დანაგვიანებულია, გაუნათებელია, რაც კრიმინალებისთვის კარგ გარემოს ქმნის.

ბადრი მესხიშვილი ამბობს, რომ რუსთავი-თბილისის მატარებლით ბევრი ადამიანი სარგებლობს და სადგურის კეთილმოწყობა აუცილებელია.

ინფრასტრუქტურის გაუმართაობაზე ლაპარაკობს გარდაბნელი ნანა შულაიაც. მისი თქმით, თბილისიდან დაბრუნებულს სიბნელეში გარდაბნის რკინიგზის სადგურის გარჩევაც კი უჭირს. მისი თქმით, თითქმის დანგრეულია თბილისში მეტროს სადგურ „სამგორის“ მახლობლად მდებარე რკინიგზის შენობაც. რუსთავის მერის მოწოდებას და მატარებლით მგზავრობის პოპულარიზების მცდელობას პოპულისტურად მიიჩნევს ადგილობრივი ოპოზიცია. „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენელი ნინო იმედაშვილი ამბობს, რომ ირაკლი ტაბაღუას ტრანსპორტის ალტერნატიული საშუალება კომპანია „ინტერტრანსის“ მიკროავტობუსების მძღოლების კატეგორიული პოზიციის შემდეგ გაახსენდა: **„მართალია, რუსთავის რკინიგზის სადგური „საქართველოს რკინიგზას“ ეკუთვნის, მაგრამ რატომ არ ითხოვს რუსთავის მერია მის მოწესრიგებას, რეაბილიტაციას? საერთოდ რას აკეთებს ცენტრალური ხელისუფლება, რატომ არის რუსთავი ასე მიგდებული ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან?... რკინიგზის სადგურის შენობა გაპარტახებულია და ჰგავს ომგამოვლილს, ანტისანიტარიაა, გარშემო საცხოვრებელი კორპუსებია და საშინელი სუნი დგას“.**

თავის მხრივ, რუსთავის მერმა ირაკლი ტაბაღუამ რადიო „თავისუფლებასთან“ საუბრისას გაიხსენა წერილი, რომელიც „საქართველოს რკინიგზის“ გენერალურ დირექტორს დავით ფერაძეს ჯერ კიდევ გასული წლის მარტში მისწერა რუსთავი-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალის რეაბილიტაციის თხოვნით. მერი მიიჩნევს, რომ ამ საკითხში მნიშვნელოვანია რუსთავის მოსახლეობის აქტიურობაც, თუნდაც, დამატებითი რეისების დანიშვნის მოთხოვნით. „საქართველოს რკინიგზაში“ რადიო „თავისუფლებას“ უთხრეს, რომ რუსთავის რკინიგზის სადგურში დაგეგმილი აქვთ სარემონტო სამუშაოები — კერძოდ, მოსაცდელი დარბაზისა და სალაროს აღდგენა. „საქართველოს რკინიგზის“ ინფორმაციით, ამჟამად სპეციალისტები ამზადებენ ხარჯთაღრიცხვას, რის შემდეგაც სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად ტენდერი გამოცხადდება.

დავით მჭედლიძე

სანთელი

ომარ სიამაშვილი, ჯემალ კეთილაძე, ზურაბ ქარუმიძე, ვახტანგ ცხადაძე, ნუგზარ ფოფხაძე, გიორგი ცინცაძე, ზურაბ ლომიძე, გუგა იოსელიანი, ომარ კაჭარავა, გიორგი სალუქვაძე, ჯემალ ფაშალიშვილი, ნოდარ ტყეშელაშვილი იუწყებიან უახლოესი მეგობრის

ჯემალ ზამბახიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახსა და ახლობლებს.

ლევან კლიმიაშვილი მეუღლით თეა ქუთათელაძე, შვილებით ირინა, დავით კლიმიაშვილები დიდი გულისტკივილით უსამძიმრებენ დავით და ეკა გურგენიძეებს დედის

ჯილდა (ჩიტო) გურგენიძის

გარდაცვალების გამო.

ძლიერი ყინვა საქართველოში

17 იანვარს ქვეყნის ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე მკვეთრად დაიკლებს ჰაერის ტემპერატურა, დაბლობსა და ბარში შესაძლებელია თოვლჭყაპი. მთიან და მაღალმთიან რაიონებში შენარჩუნებული იქნება რთული მეტეოროლოგიური პირობები: ძლიერი თოვა, ზოგან ქარბუქი.

18 იანვარს დღისით გამოიდარებს და 19 იანვარს უნალექო ამინდია მოსალოდნელია. დაბლობსა და ბარში დაეცემა ღამის მინიმალური ტემპერატურა: დასავლეთ საქართველოში ზოგან -5 გრადუსამდე, აღმოსავლეთ საქართველოში -9 გრადუსამდე (შიდა ქართლში). ქ. თბილისში ჰაერის ტემპერატურა +11, +13 გრადუსი იქნება. 17 იანვარს მოსალოდნელია თოვლჭყაპი, იქროლებს ძლიერი ქარი, ტემპერატურა დღის საათებში +4 გრადუსამდე დაიკლებს. 18 -19 იანვარს უმეტესად უნალექო ამინდი იქნება, ტემპერატურა ღამის საათებში -3 გრადუსამდე დაიკლებს, დღისით კი +7, +9 გრადუსამდე მოიმატებს.

ძლიერი ქარი ბათუმში

ძლიერი ქარის გამო ბათუმში რამდენიმე შენობის სახურავი დაზიანდა, წაიქცა 3 და დაზიანდა რამდენიმე ხე-მცენარე.

ქარმა ასევე მოშალა სამშენებლო ღობეები და დააზიანა ავტობუსის მოსაცდელები. რამდენიმე მისამართზე მიმდინარე მშენებლობებიდან ჩამოცვივდა ფანჯრები. ყველა შემთხვევაზე მიმდინარეობს შესაბამისი რეაგირება. საგანგებო რეჟიმში მუშაობენ მერიის სამსახურები.

დიდთოვლობა და ზვავსაშიშროება სვანეთში

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, დიდთოვლობისა და ზვავსაშიშროების გამო, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზის კმ173-კმ186 (კალა-უშგული) მონაკვეთზე აკრძალულია ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა.

თოვლისა და ლიპყინულის გამო, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზის კმ70-კმ173 (ხაიში-კალა) მონაკვეთზე აკრძალულია მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა. დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა კმ30-კმ90 (ჯვარი-დიზი) მონაკვეთზე თავისუფალია. ხოლო, კმ90-კმ173 (დიზი-კალა) მონაკვეთზე დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

რა აძვირებს პურს?

პურის ცხობის მეწარმეთა თბილისის ასოციაციის თავმჯდომარე მალხაზ დოლიძე ამ ეტაპზე პურის გაძვირებას არ ელოდება, მაგრამ bm.ge-თან საუბარში იმ კომპონენტებს გამოყოფს, რომელიც პურის ფასწარმოქმნაში ძირითად როლს თამაშობენ.

დოლიძე მათ შორის ქსელური მარკეტების როლს გამოყოფს, რაც, მისი თქმით, პურის ფასს 15-20 თეთრით აძვირებს. **„ქსელური მარკეტები ითხოვენ ე.წ. ქეშ-ბექს, ანუ პური რომ გაგაყიდინონ მარკეტებში, ისინი ითხოვენ გარკვეულ პროცენტებს. ადრე ეს იყო 5% პურის ღირებულების, ახლა კი, გაზარდეს და 12%-ია. ესაა ხელშეკრულების ნაწილი, რომელიც ძალიან მძიმეა, მაგრამ გეუბნებიან, რომ პურის ნავაჭრიდან 12% მათ უნდა წაიღონ; ასე ვთქვათ, გადაწყვიტეს, პურზე გააკეთონ ფული და ეს დააწვა პურის ღირებულებას, ესაა მთელი უბედურება. არის კიდევ სავაჭრო აქტივობის კომპონენტი, საიდანაც 3-4 პროცენტი მიაქვთ“,** — განმარტა დოლიძემ.

ამასთან, პურის ცხობის მეწარმეთა თბილისის ასოციაციის თავმჯდომარის აზრით, საჭიროა, არსებობდეს ხორბლის ბაზრის მარეგულირებელი კომისია, რომელიც ადრე იყო და ახლა არაა. **„მარეგულირებელ კომისიას ფასის რეგულირება ევალებოდა. ახლა აბსოლუტური თავისუფლებაა. ჩემი აზრით, საჭიროა, არსებობდეს ხორბლის ბირჟაც, უნდა იყოს საშუალო ფასი, ასევე, რესპუბლიკისთვის მარაგები უნდა იყოს შექმნილი, რომ ასეთი გაძვირების დროს „სტაბილიზატორი“ ჩაირთოს“,** — აცხადებს მალხაზ დოლიძე.

რაც შეეხება პურის ფასწარმოქმნაში მონაწილე სხვა ფაქტორებს, ის გამოყოფს საერთაშორისო ბაზარზე ხორბლის გაძვირებას (1 ტონა — 800 ლარი), ასევე სატრანსპორტო და სხვა ხარჯებს. **„შესაფუთი მასალები, გაძვირებული საწვავი, საცობები, რომელშიც დისტრიბუციის მანქანებს უწევთ დგომა — ბევრი ნიუანსია, რომელიც უნდა იყოს გათვალისწინებული. ჯამში, პურის ფასის წარმოქმნაში ბევრი ფაქტორი მონაწილეობს. მათ შორის ერთ-ერთი მთავარია რკინიგზა, რომელსაც ხორბალი ბათუმიდან თბილისამდე ჩამოაქვს. ყველა თავისას იღებს და ბოლოს საწყალი მეპურე გამოდის გამძვირებელი და ქვეყნის დამაქცევარი“,** — აღნიშნა დოლიძემ, მაგრამ იქვე დასძინა, რომ ამ ეტაპზე პურის გაძვირება მოსალოდნელი არაა.

bm.ge

რას არ გაიგებ...

...კომშის კანი დამწვრობას აამებს?

...მეტეორიტებთან დაკავშირებული ერთ-ერთი დღემდე გამოუცნობი საიდუმლოა... მათი „შეხორცების“ უნარი: თუკი მის ნატეხს ალმასის ქლიბით გახეხავთ, რამდენიმე დღეში ის „პირს იკრავს“ — იმის მსგავსად ხეები თავიანთი წებოთი რომ „მკურნალობენ“ თავს?

...სათვალე იტალიაში 1284 წელს გამოიგონეს?

...ყველაზე გავრცელებული დაავადებები დედამიწაზე ჰიპერტონია და შაქრიანი დიაბეტია?

...კოფეინი აჩქარებს ცხიმების გახლეჩას და რბილი შარდმდენივით მოქმედებს?

...ლეონარდო და ვინჩის ცნობილ სქემატურ ნახატს „ვიტრუანელი კაცი“, მისტიკოსები სამყაროს სქემატურ ასახვად მიიჩნევენ?

...წვიმის დროს ჩურჩული არ მარტო უკეთ ისმის, არამედ გაცილებით მეტ მანძილზე ვრცელდება?

...საბრძოლო მიზნებისთვის სელაპების გამოყენების იდეა პირველმა ცნობილმა რუსმა მომთვინიერებელმა ვლადიმერ დუროვმა წამოაყენა 1915 წელს?

...პოპულარული და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, ჩინებული ოქსიდანტია თევზი ჭიჭყინა?

* * *

...ტყუპების დედების სიცოცხლის ხანგრძლივობა 7,6 პროცენტით უფრო მაღალია, ვიდრე იმ ქალებისა, ვინც თითო ბავშვს აჩენდა?

...ბავშვის დაბადებიდან პირველი წლის განმავლობაში მის მშობლებს, საშუალოდ უწინდელზე 400-750 საათით ნაკლები სძინავთ?

...წყვილში ცეკვა ადამიანზე ისეთივე ზემოქმედებას ახდენს, როგორსაც მსუბუქი ტკივილგამაყუჩებელი?

...ყველაზე მეტი ბავშვი — 69, ერთმა ქალმა რუსეთში ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში გააჩინა... 1725 და 1765 წლებს შორის შუალედში გლეხ თევდორე ვასილიევის ცოლმა 27-ჯერ იმშობიარა, რა დროსაც მას 16-ჯერ — ორ-ორი, 7-ჯერ — სამ-სამი და 4-ჯერ — ოთხ-ოთხი ტყუპი შეეძინა?

...ჟურნალ „ნიეშნელ ჯეოგრაფიკმა“ 2018 წელს სამოგზაუროდ საუკეთესო ადგილების სარეკომენდაციო ნუსხა გამოაქვეყნა, რომელთა შორის არიან ქალაქები: ჰაერერი (ეთიოპია), ჟუჟუი (არგენტინა), თბილისი (საქართველო), სიდნეი (ავსტრია), ოაჰაკა (მექსიკა), ვენა (ავსტრია), კუნძული ოაჰუ (ჰავაის არქიპელაგი), მალმიო (შვედეთი), ამანი (იორდანია) და დუბლინი (ირლანდია)?

ჩინეთსა და კანადას შორის ურთიერთობა იძაბება

ჩინეთის სასამართლომ კანადის მოქალაქეს, რომელიც ნარკოტიკების კონტრაბანდის გამო პატიმრობაშია, სასჯელი სასიკვდილო განაჩენით შეუცვალა. კანადელი მამაკაცის ოჯახმა სასამართლოს გადაწყვეტილებას შემაძრწუნებელი და არაადამიანური უწოდა, კანადის პრემიერ-მინისტრმა ჯასტინ ტრუდომ კი პეკინი სასიკვდილო სასჯელის თვითნებურ გამოყენებაში დაადანაშაულა.

რობერტ ლოიდ შელენბერგის განაჩენი კიდევ უფრო გააუარესებს ჩინეთსა და კანადას შორის უკვე დაძაბულ დიპლომატიურ ურთიერთობებს, რომლის ერთ-ერთი მიზეზიც აშშ-ის მოთხოვნით, დეკემბრის თვეში, ვანკუვერში Hefotb-ის ფინანსური დირექტორის დაკავება გახდა.

„ჩვენ ძალიან გვაღელვებს ის ფაქტი, რომ ჩინეთმა გადაწყვიტა თვითნებურად გამოიტანა სიკვდილით დასჯის განაჩენი“, — განაცხადა ტრუდომ.

კანადის მოქალაქეს 15-წლიანი საპატიმრო ვადა გასული წლის 20 ნოემბერს მიუსაჯეს, თუმცა იანვრის თვეში ჩინეთის სასამართლომ ეს გადაწყვეტილება მეტისმეტად მსუბუქ სასჯელად ჩათვალა და ის სასიკვდილო განაჩენით შეცვალა. რობერტ ლოიდ შელენბერგს გადაწყვეტილების გასაჩივრება 10 დღის განმავლობაში შეუძლია.

რობერტ ლოიდ შელენბერგი 2014 წელს დააპატიმრეს. მას ბრალს სდებენ ჩინეთიდან ავსტრალიაში 227 კგ მეტამფეტამინის გადატანაში. შელენბერგი 36 წლისაა, ის ბრალს არ აღიარებს.

ორიგინალური ფეხსაცმელი

24 წლის არაბმა დიზაინერმა შეიხა ალ ალიმ ახალი პროექტი დაიწყო, რომელიც საემიროების უდაბნოთია შთაგონებული. მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ქუსლი — Kuthub-ი, რომელიც უდაბნოს ქვიშითაა სავსე.

„ჩვენ ვართ ერი, რომელიც გაიზარდა უდაბნოში. ეს ჩვენთვის კომფორტიცაა და სახლიც. განა მართლაც კარგი არაა, რომ ყოველთვის თან გქონდეს მისი ნაწილი?“, — განმარტავს დიზაინერი.

დიზაინერული ნამუშევრის ფასი 315 დოლარია და ამ დროისათვის ასორტიმენტი საკმაოდ შეზღუდულია. თუმცა მომავალი თვიდან გაყიდვაში გამოჩნდება უფრო მეტი ზომისა თუ ფერის Kuthub-ი.

საშუალოდ 4 ჭიქა ჩაი დღეში

სტამბოლის ჩაის სახლების ასოციაციის ხელმძღვანელის განმარტებით, თურქეთი ჩაის მოხმარების მხრივ მსოფლიოში ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაა. ამ ქვეყნის მაცხოვრებელი წლის განმავლობაში საშუალოდ 1 300 ჭიქა ჩაის სვამს. სერდარ ერშახინის თქმით, თურქი დღის განმავლობაში საშუალოდ 3-5 ჭიქა ჩაის მოიხმარს. თუმცა არის პერიოდები, როდესაც ეს მაჩვენებელი 10-მდე იზრდება. თურქი არ იყენებს პაკეტის ჩაის, ან სხვა მეთოდით დამზადებულ ჩაის. ის როდესაც ჩაის ხარშავს, მის მომზადებას 20 წუთამდე სჭირდება.

გარდა მოხმარებისა, თურქეთი ჩაის მოყვანისა და ექსპორტის მხრივაც ერთ-ერთი მოწინავე ლიდერი ქვეყანაა. თურქეთი ჩაის ექსპორტს 100-მდე ქვეყანაში ახდენს.

რომელ გვერდზე სჯობს ძილი?

ბევრს ძილი მარცხენა მხარეს დაწოლილს უყვარს, თუმცა კი ხშირად ამბობენ, ეს გულისთვის მავნეაო, რადგან მთელი სხეულის მასა გულს აწვება და ამიტომ ის უარესად მუშაობს.

ამასთან დაკავშირებით ექიმები ამბობენ, რომ რადგან გული მარცხენა მხარესაა, ამდენად, მარცხენა გვერდზე ძილს თეორიულად მისი შეკუმშვის გამოწვევა შეუძლია, რაც ცხადია, მუშაობაში ხელს შეუშლის. ამასთან, მრავალწლიანი დაკვირვებები მოწმობს, რომ **ორგანიზმი თავად ირჩევს დასაძინებლად მისთვის მაქსიმალურად კომფორტულ პოზას.**

ამიტომ, თუკი ვინმეს რომელიმე გვერდზე ძილთან და ჯანმრთელობასთან პრობლემა არა გაქვთ, მაშინ არ ღირს, თავი აიძულოთ მაინცდამაინც მარჯვენა გვერდზე დაიძინოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ძილთან დაკავშირებით პრობლემები შეგექმნებათ, უძილობა კი გაცილებით ცუდად მოქმედებს, ვიდრე მარცხენა მხარეზე დაძინება.

ყურადღება! ყურადღება!

ძვირფასო ქართველო ბიზნესმენებო, უნიკალური სამკურნალო თვისებებით განთქმულ კურორტ საირმეში იყიდება 2433 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი, რომელიც გამოდგება ნებისმიერი სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ან სასტუმრო კომპლექსის ასაშენებლად.

ფასი შეთანხმებით!

დაგვიკავშირდით ტელეფონებზე: 599-56-81-86; 599-36-00-35; 599-53-76-16.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა შაბათს, 19 იანვარს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6644; ევრო - 3.0449;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4203
100 რუბლი - 3.9687; თურქული ლირა - 0.4835;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5719;
1000 სომხური დრამი - 5.4767.

ამინდი 17 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე -1, დღე +7
მთიანი რაიონები - ღამე -4, დღე +2
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე -1, დღე +7
მთიანი რაიონები - ღამე -4, დღე +1
თბილისი: ღამე +2, დღე +4

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge